პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 43 (5144) | სამშაბათი, 22 თებერვალი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

დიდება გმირებს! („პრავდის“ მოწინავე).

სალამი სტალინური ეპოქის უმამაცეს გმირებს: ამხ. ოსტალცევის, კოტცოვის და ბარსუკოვის მიმართვა ამხანაგ სტალინისა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისადმი; პაპანინის ოჯახის მიმართვა ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვისადმი; ფედოროვის ოჯახის მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი; განსაცვიფრებელი პოლარული ეპოპეა ბრწყინვალედ დამთავრდა (საუბარი ამხ. შმიდტთან); ვ. ბლიუხერი — საბჭოთა პატრიოტიზმის ნიმუში (1-ლი გვ.).

ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობის ისტორია (მე-2 გვ.).

პაპანინელები (მე-2 გვ.).

274 დღე მოდრეიფე ყინულზე (მე-2 გვ.).

ვ. გუბელმანი — იაპონელ ინტერვენტთა განადგურება (ფელეტონი. მე-3 გვ.).

უცხოეთში:

ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.).

საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.).

დიდება გმირებს!

ბანონიერი სიამაყის გრძნობით აღსავსეა ჩვენი გული, როცა ვფიქრობთ, რომ ოთხმა ჩვენმა თანამემამულემ—პაპანინმა, შირშოვმა, კრენკელმა, ფედოროვმა ბრწყინვალედ შეასრულა პარტიისა და მთავრობის პასუხსაგები დავალება, ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა დასახული მეცნიერული სამუშაო. თავისი გამოკვლევებით მათ ძვირფასი განძი შეიტანეს პოლარული აუზის ცენტრალური ნაწილის შესწავლაში. 19 თებერვლის 15 საათზე და 55 წუთზე, სტოვებდნენ რა ყინულს, რომელზედაც მათ 2.500-ზე მეტი კილომეტრი განვლეს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მამაცმა და უშიშარმა შვილებმა რადიოთი გადასცეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს:

„უსაზღვროდ ბედნიერები ვართ გიპატაკოთ ჩვენთვის დავალებული ამოცანის შესრულება... 1 თებერვლიდან, როდესაც 74 გრადუსზე ჩვენი ყინულის მინდორი ნაწილებად დაიმტვრა, ჩვენ განვაგრძობდით ამ პირობებში ყველა შესაძლებელ დაკვირვებას. გულდაჯერებით ვმუშაობდით, არც ერთი წუთით არ გვაღელვებდა ჩვენი ბედი, ვიცოდით, რომ ჩვენი ძლიერი სამშობლო, რომელმაც გაგზავნა თავისი შვილები, არასოდეს არ დასტოვებს მათ. პარტიის, მთავრობის, ძვირფასი ამხანაგი სტალინისა და მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე მზრუნველობა და ყურადღება განუწყვეტლივ გვამხნევებდა ჩვენ და ამან უზრუნველჰყო მთელი მუშაობის წარმატებით ჩატარება“.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა თავის სიხარულ მისალმებაში მიულოცეს გულად მოზამორეებს პასუხსაგები დავალების წარმატებითი შესრულება:

„მოგილოცავთ პასუხსაგები დავალების წარმატებით შესრულებას. მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს თქვენი გმირული მუშაობით. მოველით თქვენს დაბრუნებას მოსკოვში. ძმური სალამი!“.

ამ სიტყვებში გამოხატულია ამაღელვებელი გრძნობები მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც უყვარს თავისი თავდადებული შვილები და რომელიც მოუთმენლად მოელის მათ დაბრუნებას დიდ მიწაზე, მოსკოვში.

ჩრდილოეთ პოლუსზე, არქტიკაში, მიღწეული გამარჯვება სამართლიანად ითვლება მთელი ჩვენი ქვეყნის გამარჯვებად. ეს ლენინ-სტალინის პარტიამ, ეს ჩვენმა სამშობლომ აღზარდა, შეაიარაღა ცოდნით და გამარჯვების რწმენით, გამობრძმედა და აღფრთოვანა სახელოვანი, გმირული ოთხეული.

დედამიწის მწვერვალიდან — ჩრდილო - პოლუსიდან, ახორციელებდა რა კაცობრიობის საუკეთესო ოცნებებს, ოთხეული შეუდგა სიღიადით, უბრალოებით, გამბედაობით და ვაჟკაცობით აღსავსე თავის მეცნიერულ მუშაობას. საბჭოთა ოთხი მოქალაქე 274 დღე ებრძოდა მძვინვარე სტიქიას, არქტიკულ უდაბნოთა წყვდიადში იმარჯვებდა უდიდეს სიძნელეებზე, დაუღალავი ენერგიით, ნებისყოფით და უშიშროებით იპყრობდა ბუნებას, არკვევდა ჩრდილოეთის პოლუსის საიდუმლოებებს, აყენებდა მათ კაცობრიობის სამსახურში. 274 დღე გრძელდებოდა ეს მკაცრი, წარმტაცი ეპოპეა, რომელმაც შესძრა მსოფლიო თავის უსაზღვრო სიღიადით, გამბედაობით, სიცხადით და მიზნის დაჟინებითი მიღწევით. მთელი პროგრესიული კაცობრიობა ულოცავს საბჭოთა კავშირს ანალ გამარჯვებას მეცნიერების ფრონტზე, აღტაცებით ტაშს უკრავს პაპანინს, შირშოვს, კრენკელს, ფედოროვს, რომელთა გმირობაც გადაეცემა საუკუნეებს, რომელთა სახელებიც სამუდამოდ დარჩება კაცობრიობის ისტორიის ანალებში.

ბუნების ბნელ სტიქიურ ძალებზე ადამიანის გონების გამარჯვებით არის გამსჭვალული ბოლშევიკური ოთხეულის გმირული ვაჟკაცობა.

სოციალიზმის ადამიანთა ხელში ბუნების ძალები დემონური მბრძანებლებიდან მორჩილ მონებად გადაიქცნენ. ბოლშევიკებმა მოათვინიერეს არქტიკა, ისინი გეგმიანად და მეთოდურად, რკინისებური დაჟინებით იპყრობდნენ ჩრდილოეთის პოლუსს. სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ ისტორიული დრეიფით ჩვენმა სამშობლომ კვლავ უჩვენა მსოფლიოს, თუ რის უნარი შესწევთ სტალინის ეპოქის ადამიანებს, რომელნიც აღჭურვილნი არიან თავმდაბლობით, კეთილშობილებით და ხასიათის სიმტკიცით, იმ ეპოქისა, რომელიც გადალახავს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას.

გულდაჯერებით და მშვიდად, მუდამ სულის სიმშვიდით, ენტუზიაზმით და ბოლშევიკური ოპტიმიზმი აღსავსენი ყოველდღიურად აწარმოებდნენ თავის მეცნიერულ გამოკვლევებს სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ მეზამთრეები. პანიკამ ვერ შეიპყრო ისინი იმ დღეს, როცა ყინულოვანი ველი ნაწილებად დაიმტვრა, არამედ, როგორც შეჭშვენის საბჭოთა ადამიანებს, გვიჩვენეს ორგანიზებულობისა და სიმტკიცის ნიმუში: ყინულის ნამტვრევზე უკანასკნელ წუთამდე აგრძელებდნენ თავის რეგულარულ მეცნიერულ დაკვირვებებს.

ხორცი ხორცთაგანი თავის ხალხისა, ისინი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ პარტია და სამშობლო, რომელმაც გაგზავნა თავისი შვილები უძნელესი დავალების შესასრულებლად, არასოდეს არ დასტოვებს მათ. სამშობლოს ძლიერებაში, სიყვარულში და ლენინ-სტალინის პარტიისადმი განუსაზღვრელ ერთგულებაში ჰპოვებდნენ ისინი ურყევ რწმენას, სიმშვიდესა, ვაჟკაცობასა და ენტუზიაზმს. აი, სად არის წყარო მათი გამბედაობის, ძალის, მათი მეცნიერული გმირობისა, რომლის მაგალითიც კაცობრიობის ისტორიამ არ იცის!

უკვდავი საბჭოთა ხალხი ზრდის სოციალისტურ სამშობლოს ისეთ შვილებს, რომელთაც რევოლუციის სიკეთის გარდა სხვა მიზანი არ აქვთ ცხოვრებაში! როგორც მასწავლებელი და მეგობარი სტალინური ცენტრალური კომიტეტი ზრუნავს სოციალიზმის ადამიანებზე. აფრთოვანებს მათ გმირობისათვის, ფრთხილად ეპყრობა ადამიანს, მის სიცოცხლეს. ადამიანები ჩვენი სამშობლოს ყველაზე ძვირფასი კაპიტალია.

სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ მამაცმა მეზამთრეებმა იცოდნენ, რომ მათს ზურგს უკან მთელი ხალხის, საყვარელი სამშობლოს ძლიერება და ძალაა. გრენლანდიის ზღვის ყინულებში „ტაიმირისა“ და „მურმანის“ ეკიპაჟის მფრინავ მიტინგზე ნათლად და ამაღელვებელი სისადავით სთქვა ამის შესახებ ბოლშევიკმა პაპანინმა: „უნებურად ეკითხები თავს: შეიძლება თუ არა სადმე დაიღუპოს საბჭოთა ადამიანი? ჩვენი ქვეყნის მზრუნველობამ გვიჩვენა, რომ არ შეიძლება: ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ როცა დადგება დრო, მოვლენ ჩვენთან, და აი თქვენც მოხვედით“.

პოლარელთა მეგობრულ ოთხეულში განხორციელებულია საუკეთესო თვისებები მოწინავე საბჭოთა ადამიანისა—ცნობისმოყვარის, ვაჟკაცის, სიძნელეთა დამხვედრის და სოციალისტური სამშობლოს დიდებისა და სახელისათვის მათი მძლეველისა. ამიტომ მიესალმება ასეთი ამაღელვებელი სიყვარულით მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლოს ყველა ადამიანი თავის ერთგულ და პარტიისათვის ბოლომდე თავდადებულ შვილებს. მათ გაიმარჯვეს არქტიკის ყინულებში. თავისი გმირობით ისინი აღფრთოვანებენ მილიონობით საბჭოთა მოქალაქეებს, შრომისა და მეცნიერების ადამიანებს ახალი საწარმო გამარჯვებებისათვის, ახალი სოციალისტური შემოქმედებისათვის. ბედნიერება, სიხარული და ჩვენი სამშობლოს და მისი საუკეთესო შვილებისათვის სიამაყე ისმის მუშების, მეცნიერების, კოლმეურნეთა, წითელი არმიის და სამხედროსაზღვაო ფლოტის მებრძოლთა მისალმებებში. მთელი თვეების განმავლობაში თვალყურს ადევნებენ მშრომელები ყინულის დრეიფს, რომელზედაც ხალხის რჩეულები, პარტიის მიერ გაგზავნილნი, ახორციელებდნენ მეცნიერულ იდეებს, კაცობრიობის ოცნებებს.

დიახ, ჩვენ სავსენი ვართ საბჭოთა სიამაყით, იმის შეგნებით, რომ მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს შესწევს ძალა დასძლიოს, ისეთი გიგანტური მეცნიერული ღონისძიებანი, როგორიც არის ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობა, არქტიკის საიდუმლოებათა შესწავლა. ადამიანისადმი მათი დამორჩილება. კაპიტალიზმმა განათლება და მეცნიერება ექსპლოატაციის იარაღად იმისთვის გადააქცია, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა მონობაში ჰყავდეს... „მხოლოდ სოციალიზმი,—ამბობდა ლენინი,—გაათავისუფლებს მეცნიერებას მისი ბურჟუაზიული ბორკილებისგან, კაპიტალისათვის მისი დამონებისგან, მრისხანე კაპიტალისტური ანგარების ინტერესების წინაშე, მისი მონობისაგან“.

ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომელზედაც ოცნებობდა ლენინი: მეცნიერება ხალხის სისხლსა და ხორცში შედის, მშრომელთა ყოფაცხოვრების, სოციალისტური მშენებლობის შემადგენელ ელემენტად ხდება. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ფართო და უსაზღვრო პერსპექტივები მეცნიერული მუშაობისა, ნამდვილად თავისუფალი შემოქმედების ყველა წინაპირობა. ამის ნათელი დამამტკიცებელია ჩრდილოეთ პოლუსზე ჩატარებული შესანიშნავი მუშაობა, საბჭოთა მეცნიერული სადგურის ისტორიული დრეიფი.

საბჭოთა გაბედულმა ოთხეულმა გაამდიდრა მეცნიერება ახალი გამოკვლევებით, რომელთაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

თავის სიცოცხლის რისკით, შათ სასახელოდ შეასრულეს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. „ტაიმირს“ და „მურმანს“ კურსი აღებული აქვთ აღმოსავლეთისაკენ, ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ნაპირებისაკენ, რომელიც მხურვალედ მიესალმება გულად გმირებს—პაპანინს, შირშოვს, კრენკელს და ფედოროვს.

დიდება საბჭოთა უკვდავი ხალხის მამაც შვილებს!

„პრავდის“ მოწინავე 21/II.

სალამი სტალინური ეპოქის უმამაცეს გმირებს

განსაცვიფრებელი პოლარული ეპოპეა ბრწყინვალედ დამთავრდა

„ერმაკის“ გემბანი, 19 თებერვალი (საკადესის სპეც. კორ. რადიო). ო. ი. შმიდტი ესაუბრა პრესის წარმომადგენლებს ყინულმჭრელ „ერმაკის“ გემბანზე. მან შემდეგი განაცხადა:

— განსაცვიფრებელი პოლარული ეპოპეა ბრწყინვალედ დამთავრდა. დღეს „ჩრდილოეთის პოლუსის“ რადიოსადგურმა გაგზავნა თავისი უკანასკნელი რადიოგრამა — საზეიმო პატაკი მთავრობისადმი. მთელი ჩვენი ქვეყანა სიხარულმა მოიცვა.

ოპერაციის ასე წარმატებით დამთავრება წარმოადგენს ოპერაციის იმ დიდი მასშტაბისა და ენერგიის შედეგს, რომლითაც მთავრობამ მოაწყო გმირული ოთხეულის გადმოყვანა „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურიდან. მთავრობის ღონისძიებანი განსაკუთრებით ფართო ყო. ამაში ნათლად მოსჩანს სტალინური მზრუნველობა ადამიანებზე, გმირული ოთხეულის მუშაობის მაღალი შეფასება.

ეს ბრწყინვალე გამარჯვება მოპოებულია დარტყმის სტალინური კონცენტრირებულობის, იმ პოლარელ მეზღვაურთა მუშაობის მაღალი ხარისხის მეოხებით, რომლებსაც წლობით ზრდიან პარტია და მთავრობა არქტიკის დაუფლების დიადი ამოცანის შესასრულებლად.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურის მუშაობა, რომელმაც უდიდესი მეცნიერული შედეგები მოგვცა, დამთავრდა საბჭოთა ფლოტის სიმძლავრისა და ორგანიზებულობის ბრწყინვალე დემონსტრაციით. ჩვენი ქვეყანა მალე გულში ჩაიკრავს თავის საუკეთესო შვილებს.

ტროიანოვსკი

საბჭოთა პატრიოტიზმის ნიმუში

პაპანინს, შირშოვს, კრენკელს, ფედოროვს.

მოგესალმებით შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის მთელი პირადი შემადგენლობის სახელით. გილოცავთ პარტიისა და მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებას. თქვენი გმირობა და სიმამაცე საბჭოთა პატრიოტიზმის ნიმუში იქნება ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს თვითეული დამცველისათვის. მთელს ჩვენს ძლიერ საბჭოთა ხალხთან ერთად თქვენით — დიდი სტალინის აღზრდილებით — ამაყობენ შორეულ-აღმოსავლეთელი მეომრები.

შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი
ვ. კ. ბლიუხერი.

ამხ. პაპანინს, კრენკელს, შირშოვს, ფედოროვს

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო მხურვალე სალამს უთვლის არქტიკის სახელოვან მკვლევართა და ულოცავს მათ გმირული მუშაობის წარმატებით დამთავრებას.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო

ამხ. პაპანინს, შირშოვს, კრენკელს, ფედოროვს

თქვენი გმირული მუშაობა, თქვენი შეუდარებელი საგმირო საქმე საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას. სახელი და დიდება გმირ პაპანინელებს!

სახელი და დიდება ხალხს, რომელიც წარმოშობს საბჭოთა დევგმირებს!

სახელი და დიდება ლენინ-სტალინის პარტიას, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს ჩვენი ხალხი!

ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

პაპანინს, შირშოვს, კრენკელს, ფედოროვს

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობა მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ — სტალინის აღზრდილებს — და თქვენს გმირულ მუშაობას. თქვენი მუშაობით თქვენ ოქროს ფურცელი ჩასწერეთ კაცობრიობის ისტორიაში, არქტიკის მკაცრ ბუნებასთან საბჭოთა უშიშარი ადამიანების მიერ წარმოებული ბრძოლის ისტორიაში.

თქვენი მუშაობა დაუფასებელია ყველა ჩვენთვის, მეზღვაურთათვის, იგი წარმოადგენს გამძლეობის, სიმტკიცის და დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ თავისი მოვალეობის თავგანწირულად შესრულების მაგალითს.

პ. ა. სმირნოვი, პ. ი. სმირნოვი, ისაკოვი, გალერი, შაპოშნიკოვი, ლაუხინი, გავრილოვი.

პაპანინელთათვის დახმარების გაწევის სამუშაოთა მამაცი და თავდადებული ხელმძღვანელები

ანანია ვლადიმერის-ძე ოსტალცევი

„ტაიმირის“ ბრწყინვალედ დამთავრებული ექსპედიციის ხელმძღვანელი ანანია ვლადიმერის-ძე ოსტალცევი დაიბადა ბლაგოვეშჩენსკში 1897 წელს. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როცა შევიდა იუნგად შორეულ-აღმოსავლეთის სავაჭრო ფლოტში. მიიღო რა პირველი კლასის მატროსის კვალიფიკაცია, ოსტალცევი 1915 წლამდე მსახურობდა სავაჭრო ფლოტის გემებზე. შემდეგ იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და გაგზავნეს ფრონტზე.

1917 წლის ოქტომბერში ოსტალცევი შევიდა წითელ გვარდიაში, ხოლო შემდეგ — წითელი არმიის რიგებში.

1920 წლიდან ოსტალცევი მუშაობს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახპოლიტდაცვის ორგანოებში, შემდეგ — სრულიადრუსეთის საგანგებო კომისია - გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს ორგანოებში ოდესასა და ხერსონში. 1928-1929 წლებში იგი მუშაობს ყირიმში — ჯერ ყირიმის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირში, ხოლო შემდეგ საკ. კ. ბ. (ბ) ოლქკომში.

1931 წელს ოსტალცევი გადადის მოსკოვში, შედის სამუშაოდ წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატში. მონაწილეობას იღებს კოლიმის ექსპედიციაში, როგორც ექსპედიციის უფროსის მოადგილე. 1933 წლიდან ოსტალცევი მუშაობს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს სისტემაში. ერთი წელიწადი მან გაატარა ჩრდილოეთში იუშარის პოლარული სადგურის უფროსად. 1934 წელს ოსტალცევი დაინიშნა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს პოლარული სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1935 წელს იგი ყინულმჭრელ „სადკოზე“ მონაწილეობას იღებდა მაღალი განედის ექსპედიციაში. ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ოსტალცევი დაინიშნა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს კადრების განყოფილების უფროსად, ხოლო 1937 წლის დამლევიდან იგი ასრულებს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსის მოვალეობას.

ბორის დიმიტრის-ძე ბარსუკოვი

ყინულმჭრელ „ტაიმირის“ კაპიტანი ბორის დიმიტრის-ძე ბარსუკოვი დაიბადა 1902 წელს კრონშტადტში. 1919 წელს იგი მოხალისე მატროსად შევიდა წითელ ფლოტში. 1923 წელს ბარსუკოვი დასცურავდა „ნავარინზე“, შემდეგ კრეისერ „ავროროზე“. 1929 წელს მან დაამთავრა საზღვაო სასწავლებელი. 1930 წელს ბარსუკოვი შტურმანად მუშაობდა ტრალერზე, 1931 წელს დაინიშნა გემის უფროსად. 1937 წლის ივნისიდან ბარსუკოვი არის ყინულმჭრელ „ტაიმირის“ კაპიტანი.

მას არაერთხელ გამოუჩენია თავი, როგორც გემის მამაც და მტკიცე წამყვანს, დიდი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილს.

ივანე თევდორეს-ძე კოტცოვი

ყინულმჭრელ „მურმანის“ კაპიტანი ივანე თევდორეს-ძე კოტცოვი დაიბადა 1895 წელს. მისი მამა და პაპა საზღვაო ლოცმანებად იყვნენ არხანგელსკში. თვითონ მან მატროსად დაიწყო სამსახური 18 წლიდან. 1918 წელს დაამთავრა საზღვაო სასწავლებელი არხანგელსკში, 1919 წლიდან იგი განუწყვეტლივ დასცურავს ჩრდილოეთის ჰიდროგრაფიულ გემებზე — ჯერ უფროსის თანაშემწედ, ხოლო 1925 წლიდან — უფროსად. 1933 წლიდან 1937 წლამდე კოტცოვი ყინულმჭრელ „ტაიმირის“ უფროსია. მისი მეთაურობით გემმა ჩაატარა მთელი რიგი დიდი არქტიკული ლაშქრობანი კარსკის, ბარენცის და გრენლანდიის ზღვებში. 1933 წლის შემოდგომის მიწურულში მან „ტაიმირზე“ გადმოიყვანა ი. დ. პაპანინი ფრანც იოსების მიწიდან, სადაც იგი ზამთრობდა. 1936 წლის იანვარში „ტაიმირი“ წელიწადის ამ დროს პირველად მიადგა ბარენცბურგს შპიცბერგენზე, რითაც პრაქტიკულად დაამტკიცა საზამთრო ნავიგაციის შესაძლებლობა ამ რაიონში. 1937 წლის შუა რიცხვებიდან კოტცოვი ყინულმჭრელ „მურმანეცის“ უფროსია.

ამხ. კოტცოვი დამსახურებულად ითვლება ჩრდილოეთის ერთერთ საუკეთესო მცოდნე და გამოცდილ ზღვაოსნად.



ავიანაწილის ტექშემადგენლობა (მარცხნიდან მარჯვნივ) — კალოშკინი, მინასიანა, ერემეევი და მედვედევი—პრაქტიკულად სწავლობს ავიომოტორის ინჟინერ გრეცოვის (მარჯვნივ) ხელმძღვანელობით.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

„ტაიმირი“. 20 თებერვალი 1938 წ.

ამხანაგ სტალინს. მოლოტოვს. ვოროშილოვს. კაგანოვიჩს. კალინინს. მიქოიანს. ჩუბარს. ანდრეევს. კოსიორს. ჟდანოვს. ეიხეს. ეჟოვს. პეტროვსკის. ხრუშჩოვს

ძვირფასო, მშობლიურო ამხანაგებო!

ძნელია ადამიანის უბრალო სიტყვებით ასწერო ჩვენი მღელვარება, სიხარული, როდესაც მივიღეთ და ვკითხულობდით თქვენს მისალმებას მარადიულ ყინულებს შორის, გრენლანდიის ნაპირებთან. ჩვენ გავაკეთეთ მხოლოდ ის, რასაც გააკეთებდა თვითეული საბჭოთა მოქალაქე თქვენი ბრძანების შესასრულებლად. ჩვენი — ორივე ხომალდის ეკიპაჟების — სიცოცხლე და საქმეები სამშობლოს ეკუთვნის, არ არის იმაზე უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ შეასრულო ჩვენი ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის დავალება.

ჩვენი ხომალდების ეკიპაჟების დავალებით მოგახსენებთ, რომ საკუთარ მზად ვართ შევასრულოთ ყოველი თქვენი დავალება. ჩვენი საპატიო მგზავრები — პაპანინი, კრენკელი, შირშოვი, ფედოროვი შესანიშნავად გრძნობენ თავს. პოლარული სადგური „ჩრდილოეთის პოლუსი“ უკანასკნელ ხრახნამდე დატვირთულია ხომალდის გემბანზე.

ოსტალცევი.
კოტცოვი.
ბარსუკოვი.

მოსკოვი, კრემლი,

ჩვენს მშობლიურ, საყვარელ ამხანაგ სტალინს

საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს

სევასტოპოლიდან, 20 თებერვალი, 1938 წ.

დღეს ჩვენ გავიგეთ, რომ ჩრდილოეთის პოლუსის უშიშარ დამპყრობთა გმირი ოთხეული, ჩვენი მშობლიური საბჭოთა მთავრობის, ყველა მშრომელის მეგობრისა და ბელადის ამხანაგ სტალინის ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით, გადმოყვანილია მოდრეიფე პოლარულ სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსიდან“ და ამჟამად სამშვიდობოში იმყოფება ყინულმჭრელების „ტაიმირისა“ და „მურმანის“ გემბანზე, რომელნიც დიდი ბიწისაკენ მოემართებიან.

მალე მთელი ჩვენი ქვეყანა შეეგებება და მხურვალე სიყვარულით შემოეკვლება თავის ერთგულ შვილებს, მკაცრი არქტიკის დამპყრობთა. არ გაივლის რამდენიმე დღე, და ჩვენ ვნახავთ, გულში ჩავიხუტებთ ჩვენს დიდად საყვარელ შვილს და ძმას ივანეს. არ გვყოფნის სიტყვები, რომ გამოვხატოთ ჩვენი სიხარული, მადლობა. მხოლოდ საბჭოების ქვეყანაშია შესაძლებელი ასეთი ზრუნვა ადამიანზე. ეს არის ნამდვილი სტალინური ზრუნვა, რომელიც ათბობს გმირ პოლარელთა გულს, აღაგზნებს მათში გამარჯვების ნებისყოფას, სურვილს ღირსეულად შეასრულონ სტალინური დავალება.

ჩვენ არასოდეს არ გვაფიქრებდა ჩვენი შვილისა და ძმის და მისი მეგობრების ბედი. ჩვენ ვიცოდით, რომ მძიმე წუთში დასახმარებლად გაეშურებოდნენ ასობით საბჭოთა ადამიანები, მათ დაიხსნიდა მთელი საბჭოთა ქვეყანა. დიდი სტალინის ხელით სახელოვან მეზამთრეთა სახსნელად გადასროლილი იქნებოდა ყველა საშუალება, ყველა ძალები.

მხურვალე მადლობა თქვენ, ჩვენო მშობლიურო და საყვარელო ამხანაგო სტალინ, დიადი ზრუნვისათვის ჩვენი ქვეყნის თვითეულ ადამიანზე.

დ. ნ. პაპანინი.
ი. დ. პაპანინი.
ა. დ. პაპანინი.
კ. დ. ლიზუნოვა.

მოსკოვი, კრემლი,

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

ჩვენ ეს-ეს არის გავიგეთ, რომ პაპანინელთა გმირი ოთხეული, რომელთა შორის იმყოფება ჩვენი შვილი ივანი ფედოროვი, გადმოყვანილია ყინულიდან. ჩვენ უსაზღვროდ გვიხარია ეს ცნობა, როგორც მშობლებს, ჩვენი შვილის მაგივრად და როგორც საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს — ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შვილების მაგივრად, რომელთაც უშიშრად შეასრულეს მათთვის მიცემული დავალება. დიდი მშობლიური მადლობა თქვენ, ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძეო. იმ მაღალი პატივისათვის, რაც აღმოიჩინა ჩვენ შვილს, და მამაც პაპანინელებზე თქვენი მამობრივი ზრუნვისათვის, რაც დღეს წარმატებით დაგვირგვინდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ევგენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პირველი მოთხოვნისთანავე შეასრულებს ყოველ დავალებას ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

სობინა აკიმის-ასული და კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე
ფედოროვები

პაპანინელები „ტაიმირის“ გემბანზე

„ტაიმირის“ გემბანი, 20 თებერვალი (საკადესის სპეც. კორ. რადიო). ჩვენგან უკვე 40 მილის დაშორებით, სადღაც უკან მოეფარა თვალს „ჩრდილოეთის პოლუსის“ პოლარული სადგურის ყინული. მთლიანი ყინულის მინდვრიებს შორის მანევრირებით, მძიმე უბნების ფრთხილად დაძლევით, გემები „ტაიმირი“ და „მურმანი“ სამხრეთ-აღმოსავლეთით მოდიან თავისი სამშობლოს ნაპირებისაკენ.

გემები ჯერ კიდევ საზეიმოდ მორთულია ბაირაღებით.

გრენლანდიის ნაპირები უკვე ძლივს მოსჩანს. წინ გვიძევს მძიმე გზა. ჩვენ კარგად ვიცით ყინულების ვერაგობა, მათი მოულოდნელი კაპრიზები ქარებისა და მდინარეთა ზეგავლენით. მაგრამ ჩვენი მოტყუება არც ისე ადვილია.

ჩვენი გემებიდან სადღაც უკვე ახლოა ყინულმჭრელი „ერმაკი“. ვარაუდით „ერმაკს“ ხვალ უნდა შევხვდეთ.

გემზე იწყება ცხოვრება, რომელიც მისთვის ჩვეულებრივია თავის ნავსადგურში დაბრუნების წინ. ეკიპაჟი შეუდგა გემის დასუფთავებას, მის ყოველნაირად გაკოხტავებას.

როცა ამ დეპეშას ვგზავნით, პაპანინელები კაიუტ-კომპანიაში უყურებენ კინო-სურათს „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“.

„ტაიმირის“ ექსპედიციის ხელმძღვანელი ოსტალცევი.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ვ. ე. **ვოლკოვი** დაამტკიცა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ.

ᴗᴗ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ზ. ა. **შაშკოვი** დაამტკიცა წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოადგილედ.

ᴗᴗ

მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ი. ფ. **ფედკოს** მიანიჭა არმიის I რანგის სარდლის სახელწოდება. (საკადესი).

1938 წ. 22 თებერვალს, საღამოს სრულ 7 საათზე, ზ. ფალიაშვილის **სახ. ლენინის ორდენოსან** სახელმწიფო საოპერო თეატრში მოწვეულია თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს **საზეიმო პლენუმი** პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამხედრო-ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი **მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავისადმი.**

შესვლა მოსაწვევი ბარათებით. მოსაწვევი ბარათების გაცემა სწარმოების თბილისის საბჭოსა და რაისაბჭოებში.

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს სახელოვანი შვილებით

ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობის ისტორია

მას შემდეგ, რაც საუკუნეთა განმავლობაში მთელი რიგი ექსპედიციები მოეწყო და დაიღუპა მრავალი ადამიანი — მამაცი პოლარელი მკვლევარები, — კაცობრიობა XIX საუკუნის მიწურულს თითქოს ჩიხში მოემწყვდა ამოცანის წინაშე — როგორ მიაღწიონ ჩრდილოეთის პოლუსს და როგორ გააშუქონ საერთოდ დედამიწის ეს საიდუმლო და მიუწვდომელი რაიონი. არქტიკის ყინულებში თავისი ლაშქრობებით ცნობილმა ადმირალმა ნერსმა, როცა მისი ექსპედიციის გემებმა კვლავ ვერ შესძლეს ყინულების გავლა დევისის სრუტეში*) და გზა გაეკაფათ ჩრდილოეთისაკენ, ბრიტანეთის საადმირალოს გაუგზავნა თავისი ცნობილი დეპეშა: **„ჩრდილოეთის პოლუსი მიუღწეველია“.** პასუხად წამოყენებულ იქნა გაბედული წინადადებანი მიეღწიათ ჩრდილოეთის პოლუსამდე ჰაერით რამდენადაც, მიუხედავად ყველა გმირული ცდისა, ვერ ხერხდება მისი მიღწევა საზღვაო გზით ან ყინულით — მარხილში შებმული ძაღლების საშუალებით. ასეთი იყო პროექტები ინგლისელების ადმირალ ჩეინისა და ჰაერნაოსან კოკსველის (1878—80), მთელი რიგი ფრანგი ჰაერნაოსნებისა — დიუპიუი-დელკურის (1845), მარეშალის (1870), გ. ზილბერმანის (1871), დიველისა (1871) და სხვ.

ავსტრიელმა მეცნიერმა პაიერმა, რომლის ექსპედიციამ 1872—74 წლებში აღმოაჩინა ფრანც იოსების მიწა, არქტიკიდან დაბრუნების შემდეგ დაწერილ წიგნში პირდაპირ განაცხადა:

„სასარგებლო იქნებოდა ხელი აგვეღო პოლუსის მიღწევისა და პოლარულ გამოკვლევათა ყოველგვარ ცდაზე მანამდე, სანამ ჩვენ შესაძლებლობა არ გვექნება გავგზავნოთ იქ უმწეო **საზღვაო** გემების მაგივრად **საჰაერო** გემები“.

მაგრამ ასეთი საჰაერო გემები მაშინ არ იყო, და არქტიკისაკენ ექსპედიციები გრძელდებოდა საზღვაო გემებით. ყველაზე მეტი და საგულებით დამსახურებული სახელი წილად ხვდა დიდ პოლარელ მკვლევარს ფრიტიოფ ნანსენს, რომლის პატარა ხის გემმა „ფრამმა“ მოახდინა სრულიად განსაცვიფრებელი დრეიფი ყინულებში ჩვენი ახალი ციმბირის კუნძულებიდან ცენტრალური არქტიკის გავლით ნორვეგიის ნაპირებისაკენ. ვერც ნანსენმა შესძლო ჩრდილოეთ პოლუსის მიღწევა; მას კინაღამ სიცოცხლედ დაუჯდა თავისი გაბედული ცდა ყინულებზე ფეხით წასულიყო ამ პოლუსისაკენ, მისმა გემმა მიაღწია იმ დროისათვის სარეკორდო ჩრდილოეთის განედს — 85 გრადუსსა და 57 წუთს. ნანსენი პოლუსს 400-ზე მეტი კილომეტრით იყო დაშორებული. მაგრამ მან უდიდესი ამოცანა შეასრულა უკვე იმით, რომ დაამტკიცა ტრანსპოლარული საზღვაო მდინარების არსებობა, სწორედ იმ მდინარებისა, რომელმაც ორმოცი წლის შემდეგ პოლუსიდან მოდრეიფე ყინულით ვრენლანდიის აღმოსავლეთ ნაპირებთან მოიყვანა მსოფლიო სახელმოხვეჭილი საბჭოთა გმირების ოთხეული — პაპანინი, კრენკელი, ფედოროვი და შირშოვი.

ერთი წლის შემდეგ, 1897 წელს, შვედელმა ინჟინერმა ს. ანდრემ და მისმა თანამგზავრებმა ნ. სტრინდბერგმა და კ. ფრენკელმა სცადეს მიეღწიათ ჩრდილოეთის პოლუსამდე საჰაერო ბურთით. ეს ცდა მამაც მეცნიერთა დაღუპვით დამთავრდა.

1909 წლის 6 აპრილს, 25 წლის უაღრესად შეუპოვარი შრომისა და მეცადინეობის შემდეგ, მარხილში შებმული ძაღლების საშუალებით თავის სამ თანამგზავრთან ერთად გრანტის მიწიდან ჩრდილოეთის პოლუსს ყინულით მიაღწია ამერიკელმა პოლარელმა მკლევარმა რობერტ პირიმ. რასაკვირველია, მისი აქ ყოფნა მეტად ხანმოკლე იყო და მხოლოდ რამოდენიმე საათს გრძელდებოდა.

1926 წლის 9 მაისს პოლუსის თავზე ორი-სამი წრე გააკეთა ამერიკელმა მფრინავმა ბერდმა ფოკერის ორმოტორიანი თვითმფრინავით, რომელიც შპიცბერგენიდან გაფრინდა. სამი დღის შემდეგ პოლუსის თავზე დაახლოებით ერთ საათს იფრინა აგრეთვე შპიცბერგენიდან გასულმა დირიჟაბლმა „ნორვეგიამ“, რომელშიც იმყოფებოდა ექსპედიცია სახელგანთქმული პოლარელი მკვლევარის ამუნდსენის ხელმძღვანელობით.

ტრაგიკულად დამთავრდა მეორე საჰაერო ექსპედიცია ასეთივე მოცულობის (18.500 კუბ. მეტრი) დირიჟაბლით — „იტალიანი“, რომელმაც პოლუსს მიაღწია 1928 წელს. 23 მაისს, უკან გამობრუნებისას შპიცბერგენის ჩრდილოეთის ნაპირების მახლობლად დირიჟაბლმა მძიმე ავარია განიცადა,—უეცარი ჩქარი დაშვების დროს ყინულს დაეჯახა, მაგრამ დირიჟაბლი ექვსი კაცით გაფრინდა და უკვალოდ დაიკარგა, მოტორისტი პომელა დაიღუპა, როცა დირიჟაბლი ყინულს დაეჯახა, ცხრა კაცი ყინულზე დარჩა. თითქმის ყველა ესენი იხსნა ჩვენმა წითელდროშოსანმა ყინულმჭრელმა „კრასინმა“.

საბჭოთა ყინულმჭრელების „კრასინის“ და „მალიგინის“ გმირული შუშაობა არქტიკაში აქ სამეცნიერო-საკვლევო შუშაობის და სამეურნეო საქმიანობის ფართო გაშლის პირველუდიად გარდაიქმნა. საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა ეს მუშაობა მანამდე უნახავი ტემპებით გაგვეჩაღებინა. ჩვენი ქვეყანა არქტიკაში გზაზნის მძლავრ ყინულმჭრელებსა და თვითმფრინავებს, აქ ყოველწლობით იქმნება ახალი პოლარული სადგურები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ასეთი სადგური მხოლოდ ოთხი იყო, ამჟამად კი არის 57. მაგალითად, კარის ზღვაში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე გაუვალ „ყინულოვან ტომრად“ ითვლებოდა, ვითარება ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობ. 40 წლის განმავლობაში — 1874-დან 1914 წლამდე—ცურავ ამ ზღვაში ხდებოდა საშუალოდ მხოლოდ ორჯერ წელიწადში. 1930—31—32—33 წლებში კი 135-ჯერ მოხდა ასეთი ცურვა. არქტიკაში თვითმფრინავების გამოყენება ოქტომბრის რევოლუციამდე მხოლოდ ერთხელ სცადეს — 1914 წელს. ახლა კი არქტიკული თვითმფრინავები ყოველწლობით ასეულ ათას კილომეტრებს გადიან.

„სიბირიაკოვის“ ისტორიული რეისის შემდეგ, რომელმაც ერთი ნავიგაციის განმავლობაში პირველად განვლო მთელი გზა საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთის სანაპიროს გასწვრივ, მთავრობის დადგენილებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეიქმნა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველო. პარტიამ და მთავრობამ ახალ სამმართველოს ამოცანად დაუსახეს გაიკვლიოს, მოაწყოს და წესრიგში იქონიოს ჩრდილოეთის საზღვაო გზა თეთრი ზღვიდან ბერინგის სრუტემდე. ამავე ორგანიზაციას დაევალა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევა და დამუშავება არქტიკის სანაპიროს მთელ უზარმაზარ მანძილზე. და უკვე პირველსავე წლებმა მოგვცეს შესაძლებლობა გამოგვერკვია, რომ არქტიკის საბჭოთა სექტორში, გარდა წინადაც ცნობილი თევზის და სარეწაო მხეცის სიმრავლისა, მოიპოვება აგრეთვე პოლიმეტონის საბადოები, ქვანახშირისა და ნავთის საბადოები. დასასრულ ნამდვილი საფუძველი ჩაეყარა საზღვაო გემების რეგულარულ გამჭოლ მიმოსვლას არხანგელსკსა და ვლადივოსტოკს შორის.

ჩელუსკინელთა ხსნის კამპანიამ, როცა გემის დაღუპვის ადგილას სასწრაფოდ ჩასულმა შვიდმა თვითმფრინავმა მატერიკზე გადმოისროლა ყინულზე მყოფი მთელი ბანაკი 104 კაცის შემადგენლობით, გვიჩვენა, რომ არქტიკის ჰაერსაც საბჭოთა მფრინავები ისევე დაეუფლნენ, როგორც საბჭოთა ზღვაოსნები — მის ზღვებს.

და ამოცანა ჩრდილოეთის პოლუსის ნამდვილი **დაპყრობისა** — მის რაიონში მეცნიერული მუშაობის მოსაწყობად — მხოლოდ სოციალიზმის ქვეყნისათვის აღმოჩნდა შესაძლებელი.

ოთხი მძლავრი საბჭოთა თვითმფრინავის შესანიშნავმა მეცნიერულ-საკვლევო რეისმა არქტიკის თვით შუაგულისაკენ და 1937 წლის 21 მაისს მოდრეიფე პოლარული სადგურის მოწყობამ ყინულზე კაცობრიობას სრულიად ახალი ხანა გადაუშალა არქტიკის გამოკვლევასა და ათვისებაში. ეს საქმე მათ აიყვანეს კაპიტალისტური მსოფლიოსათვის უცნობ სიმაღლეზე. და იმავე ზაფხულს, ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ ექსპედიციის მუშაობამ უკვე შესაძლებელი გახადა კიდევ ერთი შესანიშნავი საჰაერო რეისი. ჩრდილოეთის პოლუსზე კვლავ გამოჩნდა საბჭოთა თვითმფრინავი, რომლითაც საბჭოთა კავშირის გმირები ამხანაგები ჩკალოვი, ბელიაკოვი და ბაიდუკოვი ძირდაუშვებლად გადაფრინდნენ მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. მსოფლიოში პირველად იქნა ჩატარებული საჰაერო რეისი მთელ არქტიკაზე გავლით, რაც ფანტასტიურად ეჩვენებოდათ. ამით გახსნილ იქნა ტრანსპოლარული გზა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, და ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ მეორე გმირულმა სამეულმა — ამხანაგებმა გრომოვმა, იუმაშევმა და დანილინმა ასეთივე თვითმფრინავით მოახდინეს კიდევ უფრო შესანიშნავი ტრანსპოლარული გადაფრენა მარშრუტით სსრ კავშირი—ამერიკის შეერთებული შტატები და დაამყარეს შორფრენის ახალი მსოფლიო რეკორდი.

ამრიგად, მოდრეიფე პოლარული სადგურის გმირულმა შუშაობამ მოგვცა უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენ დაუყოვნებლივ გამოვიყენეთ. და ამხანაგების პაპანინის, შირშოვის, ფედოროვის და კრენკელის მუშაობას თვითეულ დღეს ახალ-ახალი განძი შეჰქონდა მეცნიერებაში არქტიკის შესახებ. მათი ყოველდღიური მეტეოროლოგიური ცნობები გახდნენ ამინდის პროგნოზის მნიშვნელოვან ელემენტად მთელ მსოფლიოში, რომელიც დღითიდღე უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ შუშაობას. მისი მეცნიერული წარმატება, იმედია, ბევრად გადაამეტებს ინჟინერებში ნანსენის სამი წლის რეისსაც კი. ასეთ ექსპედიციაზე ფრიტიოფ ნანსენს მხოლოდ ოცნება-ღა შეეძლო...

ინჟინერი ბ. ვოროგბიოვი.

*) გრენლანდიის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილსა და ა. ელესმერის მიწას შორის.

ჩვენი დროის ყველაზე შესანიშნავი სამეცნიერო ექსკედიცია

მოფიქრების გაქანებით და შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობით სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსის“ დრეიფი წარმოადგენს ჩვენი დროის ერთერთ ისეთ სამეცნიერო ექსპედიციას, რომელიც უაღრესად მდიდარია დაკვირვებებით. ჩვენი მამაცი მკვლევარების მიერ პირველად არის შესწავლილი ცდების საშუალებით ყინულიანი მინდვრების თავისუფალი წყალნაკლობისა და ნაპირის გავლენისაგან დრეიფის კანონები ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში, რომლებიც სივრცელით შორს იტოვებენ უკან სვერდრუპის დაკვირვებებს, რაც მოახდინეს გემ „მოდ“-ით.

პირველად არის აგრეთვე მიღებული ცნობები ჰაერის ტემპერატურის შესახებ, ქარების, მათი ძალისა და მიმართულების შესახებ პოლარული ბასეინის აქამდე გამოუკვლეველ ნაწილში.

ეს მონაცემები განსაკუთრებით ძვირფასი იყო იმ დროს, როდესაც მოდრეიფე სადგური პოლუსის რაიონში იმყოფებოდა. როგორც ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის სინოპტიკოსის ამხ. ბ. ლ. ძერძეევსკის მიერ თეორიული გეოფიზიკის ინსტიტუტში წაკითხულმა მოხსენებამ დაგვანახვა, მარტო ამ წერტილის არსებობაც კი ნებას იძლეოდა დაეკავშირებინათ ამერიკული სადგურების სინოპტიკური მონაცემები საბჭოთა სადგურების მონაცემებთან და მიეცათ ხოლმე ამინდის საიმედო პროგნოზი საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. ჩკალოვისა და გრომოვის თვითმფრინავთა საჰაერო გზის ტრასსზე.

ზღვის წყლის ტემპერატურისადმი დაკვირვებათა პროცესში მეზამთრეები წააწყდნენ დიდს ოკეანოგრაფიულ აღმოჩენას: აღმოჩენილია ტემპერატურის აწევა სიღრმის მიხედვით, რაც მოწმობს შემხვედრი თბილი დინების არსებობას. ამ აღმოჩენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის როგორც გეოფიზიკისათვის, ისე ბიოლოგიისთვისაც.

სიღრმის გაზომვამ მოგვცა ახალი ცნობები რელიეფის შესახებ, ხოლო ოკეანის ფსკერზე აღებული სინჯები მათი ლაბორატორული შესწავლის შემდეგ უეჭველად შეგვმატებენ მრავალ ახალ რამეს ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ფსკერის გეოლოგიისათვის.

წყლის სინჯები, აღებულნი სხვადასხვა სიღრმეზე, ახალ ნათელს მოჰფენენ პოლარული ბასეინის ოკეანის წყლის ქიმიურ შედგენილობას.

მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიისა და გეოფიზიკის ჯგუფი მოუთმენლად ელის ჩვენს გმირ მკვლევართა მოხსენებას, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს თავიანთი შესანიშნავი ექსპედიცია.

პროფესორი ს. ს. კოვნერი.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის თეორიტიული გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ᲞᲐᲞᲐᲜᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ივანე დიმიტრის-ძე პაპანინი უკვე ცოცხალ ლეგენდად გადაიქცა. ამ ადამიანს საინტერესო ბრწყინვალე ცხოვრება აქვს. იგი დაიბადა 1894 წელს სევასტოპოლში, მატროსის ოჯახში. მას ჰქონდა პროლეტარული ბიოსათვის ჩვეულებრივი ბავშვობა, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ არ ყოფილა. მას უყვარს ზღვა, მთელი საათობით ყუმბალაობს წყალში, თევზაობს. 14 წლის ბიჭუნა იყო, როდესაც კომპასის სახელოსნოში დაიწყო თავისი შრომითი გზა, შემდეგ მან მოიპოვა მელითონე ხარატის კვალიფიკაცია. 1915 წელს, იმპერიალისტური ომის დროს, ღონიერი, ჯანმრთელი ბიჭუკი მობილიზაციით გაიწვიეს შავი ზღვის ფლოტში. გაეცნო რა კაპიტალისტური წარმოების ჩაგვრას, პაპანინი სწავლობს მეფის ყაზარმის მთელ „სიკეთესაც“. როდესაც იწყება სამოქალაქო ომი, პაპანინი ფრონტზე არის. განა საჭიროა ომის ლაპარაკი, თუ ვის მხარეს იბრძვის ახალგაზრდა მატროსი, ყოფილი მუშა, რომელმაც უკვე დაამსახურა მხურვალე სიმპატია და ავტორიტეტი თავის ახალ ამხანაგებში?

იგი სახელოვნად იბრძვის სხვადასხვა ფრონტებზე კალედინისა და დენიკინის ბანდების წინააღმდეგ, წითელ მეზღვაურთა სათაგეში ჩადგება და იცავს პიტერს კორნილოველთაგან, აწყობს პარტიზანთა რაზმებს ვრანგელის ზურგში. მეთაური და კომისარი ბოლშევიკი პაპანინი — 1919 წლიდან უკვე საკ. კ. პ. (ბ) წევრია. მუდამ წინ არის, მუდამ პირადი მაგალითით უჩვენებს სიმამაცისა და გმირობის ნიმუშებს. იგი ანხორციელებს უაღრესად თამამ, უაღრესად გაბედულ გეგმებს. საბრძოლო დამსახურებისათვის მთავრობა აჯილდოებს მას წითელი დროშის ორდენითა და ოქროს საათით.

უფრო გვიან იგი მუშაობს პროლეტარული დიქტატურის ორგანოებში — სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიაში. ივანე დიმიტრის-ძე აგებს მძლავრ რადიოსადგურს ალდანის ოქროს მადნებში, 1931 წელს იგი როგორც კავშირგამბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული, მონაწილეობას ღებულობს ყინულმჭრელ „მალიგინის“ არქტიკულ სატურისტო რეისში ფრანც-იოსების მიწაზე. ამ რეისით იწყება მისი პოლარული მოღვაწეობა. ვინც თამამი და გაბედულია, მას ემორჩილება არქტიკა. და შემდეგ წელს პაპანინი პოლარული სადგურის უფროსია ფრანც-იოსების მიწაზე. ორ წელიწადს — 1934 - 35 წელს — ივანე დიმიტრის-ძე ხელმძღვანელობს დაზამთრებას ჩელუსკინის კონცხზე. პოლარელები უკვე კარგად იცობენ პაპანინს. დაზამთრება მისი ხელმძღვანელობით ნიშნავს ას პროცენტიან გამარჯვებას, ეს ნიშნავს დიდ მეცნიერულ შედეგებს. ყველა მოზამთრე უკლებლივ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული ამ დიდი მოთხოვნისა და მზრუნველი ადამიანისადმი, რომელიც საქმით უჩვენებს მათ, თუ როგორ უნდა მოაწყონ ნამდვილად დაზამთრება და კულტურულად ჩაატარონ იგი.

ივანე დიმიტრის-ძე თვითონ არ არის მეცნიერი მუშაკი, მაგრამ სწავლობს ასტრონომიას, საშტურმანო საქმეს, რადიოტექნიკას. დაწვრილებით ეცნობა არქტიკის დაპყრობის ისტორიას. 1936 წელს იგი ექსპედიციის უფროსია ყინულმჭრელ „რუსანოვზე“. მისი ამოცანა არის ააგოს სადგური და ავიაბაზა რუდოლფის კუნძულზე. ადვილი ამოცანა არ არის, განსაკუთრებით იმ მძიმე ყინულიან წელიწადში. მაგრამ პაპანინი არასოდეს არ იხევს უკან სიძნელეების წინაშე. მას მიაქვს შორეულ მკაცრ კუნძულზე სურსათი, რადიოსადგური, საწვავი მასალა, ხელსაწყოები, გადაჰყავს იქ 20 მოზამთრე. ყველაზე უკიდურესი ჩრდილო პოლარული სადგური მსოფლიოში აგებულ იქნა უაღრესად მოკლე ვადაში.

მაგრამ ესეც ჯერ კიდევ არ არის საზღვარი ბოლშევიკების გაბედული მისწრაფებებისათვის. „ყველაზე უკიდურესი ჩრდილოეთი სადგური მსოფლიოში“, — ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაზე უკიდურესი ჩრდილოეთი წერტი დედამიწის ზურგზე.

— ჩრდილოეთის პოლუსისაკენ! ექსპედიციაში მოდრეიფე ყინულიანაკენ! — ოცნებობს პაპანინი, და ჩვენი ქვეყანა, რომლისათვისაც არაფერი არ არის შეუძლებელი, ანხორციელებს მის ოცნებას, ჰგზავნის მას არნახულ საზამთრო სადგომის უფროსად.

მთავრობამ, რომელიც დიდად აფასებს ი. დ. პაპანინის დამსახურებას, მას საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიანიჭა.

⊗

პაპანინის სახელოვანი თანამებრძოლი პეტრე პეტრეს-ძე შირშოვი საბჭოთა მეცნიერების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია. იგი დაიბადა 1905 წელს დნეპროპეტროვსკში (ყოფილი ეკატერინოსლავი) მბეჭდავი მუშის ოჯახში. ბავშვობიდან ოცნებობს მოგზაურობაზე. 1921 წელს შედის სახალხო განათლების ინსტიტუტის ბიოლოგიურ ფაკულტეტზე, 1926 წელს, მისი დამთავრების შემდეგ, მუშაობს ასპირანტად ოდესის ბოტანიკურ ბაღში. შირშოვს იზიდავს არქტიკა. მისი ოცნება ხორციელდება 1930 წელს, როცა იგი ლენინგრადის ბოტანიკური ბაღის ჰიდრობიოლოგიური ექსპედიციის უფროსად მიემგზავრება კოლის ნახევარკუნძულზე. მას შემდეგ იგი ხდება თითქმის ყველა შესანიშნავი საბჭოთა ექსპედიციის მუდმივი მონაწილე. 1931 წელს პეტრე პეტრეს-ძე მონაწილეობს ექსპედიციაში ახალი მიწასაკენ. შემდეგ წელს კი იგი უკვე არის „სიბირიაკოვის“ ისტორიული ექსპედიციის ჰიდრობიოლოგი. ამ ექსპედიციაში მონაწილეობისათვის მთავრობა მას აჯილდოებს შრომის წითელი დროშის ორდენით.

ერთი წლის შემდეგ შირშოვი გეგზავნება „ჩელუსკინზეა“. იმ დღეებში, როცა ჩელუსკინელები ეწეოდნენ ყველასათვის სამახსოვრო ბრძოლას სტიქიასთან, მან თავი გამოიჩინა არა მარტო როგორც შესანიშნავმა მეცნიერმა, არამედ როგორც თავდადებულმა, შეუპოვარმა საბჭოთა პოლარელმაც, რომელიც ყოველგვარ სიძნელეს სძლევს. ჩელუსკინელთა ეპოპეაში მონაწილეობისათვის მთავრობა მას აჯილდოებს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ჩელუსკინელთა ხსნის შემდეგ, მომდევნო წელში დაუცხრომელი პეტრე შირშოვი კომპლექსურ ექსპედიციასთან ერთად ყინულმჭრელ „კრასინით“ მიემგზავრება ჩუკოტის ზღვისაკენ.

1936 წელს შირშოვი შეჰყავთ ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის მონაწილეთა რიცხვში. იგი შეუპოვრად ემზადება ამ ექსპედიციისათვის. ყინულზე ექიმიც შეიძლება საჭირო გახდეს. შირშოვი გადის სპეციალურ სამედიცინო მომზადებას და ყოველი შემთხვევისათვის სწავლობს ასტრონომიასაც.

დაუცხრომელი შირშოვი მოდრეიფე ყინულზე ეწევა დიდ მეცნიერულ მუშაობას და სხვა პაპანინელებთან ერთად მამაცურად დგას ყინულოვან ვახტაზე.

მთავრობამ შირშოვი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

⊗

ათეული არქტიკული ლაშქრობა ჩაუტარებია ერნსტ კრენკელს. აქედან მეოცე ლაშქრობა იყო „ჩელუსკინზე“, რის შემდეგ პოლარელი რადისტი ერნსტ თეოდორეს-ძე კრენკელი გახდა ერთერთი უაღრესად პოპულარული ადამიანი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც კი.

1924 წელს 20 წლის კრენკელმა მიიღო პირველი არქტიკული მონაცემები, როცა იგი ახალ მიწაზე გაეგზავნა. აქ იგი ატარებს ორ წელიწადს.

1927 წელს, წითელ არმიაში სამსახურის შემდეგ, იგი კვლავ ზამთრობს ახალ მიწაზე და აქ დგამს არქტიკაში პირველ მოკლეტალღიან გადამცემს.

1929—30 წლებში კრენკელი ზამთრობს ფრანც-იოსების მიწაზე. 1930 წლის 12 იანვარს წყნარი ბუხტიდან, მსოფლიოს ყველაზე ჩრდილოეთი რადიოსადგურიდან იგი კავშირს აბამს ადმირალ ბერდის ამერიკულ ექსპედიციასთან, რომელიც ზამთრობდა დედამიწის მეორე მხრის წერტილზე, ანტარქტიკაში.

1932 წელს ერნსტ კრენკელი ატარებს ლაშქრობას „სიბირიაკოვზე“. ამ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის მთავრობა მას აჯილდოებს შრომის წითელი დროშის ორდენით.

უფრო გვიან, როგორც ჩელუსკინელთა ეპოპეის მონაწილე, იგი ღებულობს წითელი ვარსკვლავის ორდენს.

გასაგებია, რომ, როდესაც ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის შემადგენლობის შერჩევა ხდებოდა, ოთხ კანდიდატთა შორის ერთერთი აღმოჩნდა ე. თ. კრენკელი.

საბჭოთა რადისტი ერნსტ კრენკელი მოდრეიფე ყინულიდან აწვდის მოსკოვს, აწვდის მთელს მსოფლიოს უკანასკნელ ცნობებს, ნაკრებ ცნობებს ერთი თვის, ორი თვის, ნახევარი წლის განმავლობაში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ, აწვდის მეტეოროლოგიურ ცნობებს, იტყობინება, რომ „ყველაფერი რიგზეა“. და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. კრენკელი იქ არის და მაშასადამე, დიდ მიწასთან კავშირი უზრუნველყოფილია, მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა!

მოდრეიფე ყინულზე გამოჩენილი გმირობისათვის ე. თ. კრენკელი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

⊗

პაპანინელთა შორის ყველაზე ახალგაზრდა მაგნიტოლოგი ევგენი კონსტანტინეს-ძე ფედოროვი დაიბადა 1910 წელს ქალაქ ბენდერში (ბესარაბია). ბავშვობა მან გაატარა ქალაქ გორკში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა. აქ მას უკვე იზიდავდა ასტრონომია, ფიზიკა, მათემატიკა. 22 წლის ახალგაზრდა ფედოროვი ამთავრებს ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტს მიწის მაგნეტიზმის სპეციალობით. მას იზიდავს არქტიკა და იგი მიემგზავრება იქით, ფრანც-იოსების მიწაზე. ახალგაზრდა მეცნიერმა ძნელი ლაშქრობა ჩაატარა რუდოლფის კუნძულსა და არქიპელაგის სხვა კუნძულებზე. აქ იგი გაეცნო პოლარული სადგურის უფროსს ივანე დიმიტრის-ძე პაპანინს, რომელმაც შემდეგში ასეთი დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. პაპანინმა ჩაიბა იგი კომკავშირში, მისცა რეკომენდაცია პარტიაში შესასვლელად.

როდესაც პაპანინი ჩელუსკინის კონცხის დაზამთრების ადგილის უფროსად დაინიშნა, მან მიიწვია ევგენი ფედოროვი მონაწილეობა მიეღო დაზამთრებაში, როგორც სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელს. ფედოროვმა ხალისით მიიღო ეს მიწვევა და დაზამთრების დროს ჩაატარა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა. როდესაც „ჩრდილოეთის პოლუსის“ ექსპედიციისათვის ემზადებოდა, პაპანინმა კვლავ მიიწვია ახალგაზრდა მეცნიერი მიეღო მონაწილეობა შესანიშნავ დაზამთრებაში. იგი სიხარულით დასთანხმდა. პაპანინი მასში არ მოსტყუვდა. ახალგაზრდა, ნიჭიერმა მეცნიერმა თავი გამოიჩინა, როგორც ძამაცმა და ამტანმა ადამიანმა, საუცხოო ამხანაგმა, ერთგულმა კომკავშირელმა.

დაზამთრების მეორე თვის დამდეგს ე. კ. ფედოროვი ყველა პაპანინელთან ერთად ღებულობს უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს.

„სალამი თქვენ, ჩვენი დიდი სამშობლოს გმირებს“

გიგზავნით მხურვალე სალამს თქვენ, ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს ძვირფას გმირებს!

ჯერარნახულ გულადობას, არა მარტო არქტიკის ათვისების ისტორიაში, არამედ უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიაში საერთოდ, რკინისებურ ნებისყოფას პარტიის და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანების განხორციელებაში, აღტაცებაში მოვყევართ.

მოხერხებული გამოყენება მთელი თანამედროვე მეცნიერული ტექნიკისა ხანგრძლივი, მრავალმხრივი, ზუსტი და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად არაჩვეულებრივ პოლარულ ყინულის პირობებში, სიხარულით და სიამაყით ავსებს ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ყოველი მოქალაქის გულს.

საქართველოს გეოგრაფიული ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ა. ნ. ჯავახიშვილი.

274 ᲓᲦᲔ ᲛᲝᲓᲠᲘᲔᲘᲤᲔ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ

1937 წლის 21 მაისს, 11 საათსა და 35 წუთზე მოსკოვის დროით, მოდრეიფე ყინულზე ჩრდილოეთის პოლუსის რაიონში საბჭოთა კავშირის გმირმა მ. ვოდოპიანოვმა მძიმე ხომალდით მიიყვანა ოთხი უშიშარი პოლარელი მკვლევარი — პაპანინი, კრენკელი, შირშოვი და ფედოროვი. ხუთი დღის შემდეგ მათთან მიფრინდა ექსპედიციის დანარჩენი სამი ხომალდი, რომელთაც ჩაატანეს მოწყობილობა და საჭურველი.

საბჭოთა პოლარელი მფრინავებისა და მეცნიერების საგმირო საქმემ, რომელთაც ჩრდილოეთის პოლუსზე პირველი პოლარული სადგური მოაწყეს, საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

„მარადიული მდუმარების სამეფოში, — სწერდა პოლუსის საზამთრო სადგომის უფროსი ამხ. პაპანინი, — მარადიულ ყინულებს შორის ჩვენ გულმშვიდად ვიმუშავებთ, ვიცით რა, რომ ჩვენზე ფიქრობს და ზრუნავს დიადი ქვეყანა“.

ხალხისა და მთავრობის ასეთს მხარდაჭერას არცერთი კაპიტალისტური ქვეყნის პოლარელი მკვლევარები არ მოსწრებიან.

პირველი დღეები ყინულზე შეუმჩნევლად მიდიოდა. პაპანინელები მთლად გართული იყვნენ თავის დიდ მეურნეობაზე ზრუნვით — ჩქარობდნენ გაეთავისუფლებინათ საჰაერო ხომალდები. 30 მაისს ერნსტ კრენკელმა ეთერში პირველად დაიჭირა კომინტერნის სახელობის რადიოსადგური.

4 ივნისს დილით მოსკოვმა რადიოტელეფონით პირდაპირი კავშირი დაამყარა სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსთან“. მოდრეიფე საზამთრო სადგომიდან გადმოცემულ იქნა რადიოგრამები მშობლებისა და ახლობლების სახელზე. იმავე დღეს პეტრე შირშოვმა გამოარკვია, რომ პოლარული ბასეინის ცენტრში გადის შედარებით თბილი წყლის მძლავრი ფენა, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ამავე დროს პოლარელმა მკვლევარებმა გააბათილეს თეორია პოლუსის უსიცოცხლოობის შესახებ მათ შესძლეს დაეჭირათ ოკეანეში პოლუსის ახლო რაიონის წყლის ფაუნის წარმომადგენლები.

6 ივნისს მოდრეიფე ყინულზე გაიმართა მიტინგი, მიძღვნილი სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ გახსნისადმი.

ამავე დღეს ოთხივე თვითმფრინავი აფრინდა ყინულიდან და გაემემართა უკან რუდოლფის კუნძულისაკენ. ყინულზე დარჩენილი ოთხი მამაცი მკვლევარი უდიდესი ენტუზიაზმით შეუდგა დასახული პროგრამის შესრულებას.

საზამთრო სადგომზე სიცოცხლე სდუღდა. პაპანინელები ყოველდღე ამოწმებდნენ ყინულის მდგომარეობას, მთელი დღეობით არ სცილდებოდნენ ჯალამბარს და აწყობდნენ ჰიდროლოგიურ სადგურს. ევგენი ფედოროვი ყოველდღე განსაზღვრავდა კოორდინატებს.

27 ივნისს მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისა და გმირობის გამოჩენისათვის ამხ. პაპანინს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება. ამხ. კრენკელი, შირშოვი და ფედოროვი დაჯილდოებულ იქნენ ლენინის ორდენით.

თავის წერილში ამხანაგების სტალინისა და მოლოტოვის სახელზე პაპანინელები სწერდნენ:

„ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გავამართლოთ თქვენი ნდობა და რათა ყოველგვარ პირობებში დავიცვათ ჩვენი სამშობლოს სახელი“.

პაპანინელთა სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ დაშორებია. 5 ივლისისათვის მათ უკვე დაამუშავეს თავის ლაბორატორიაში ოკეანის სხვადასხვა სიღრმიდან ამოღებული წყლის სინჯები, და გამოარკვიეს, რომ პოლუსის ახლო რაიონში მძლავრ ნაკადად მოდის წყალი ატლანტიკიდან და დიდძალი სითბო მოაქვს ყინულოვანი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. პაპანინელებმა დაამტკიცეს აგრეთვე, რომ ნან

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

პრესის მიმოხილვა

თესვის მზადების საკითხებს კარგად აშუქებს

„ლენინელი“ — ზესტაფონი.

ზესტაფონის რაიონული გაზეთი „ლენინელი“ ოპერატიულად აშუქებს მიმდინარე სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულებისათვის ბრძოლისა და კერძოდ თესვისათვის მზადების საკითხებს. მართალია, ნოემბერსა და დეკემბერში გაზეთს ამ მხრივ ნაკლი ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება „საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“, მან სერიოზულად მოჰკიდა ხელი თესვისათვის მზადების გაშუქებას.

„ლენინელმა“ ეს დადგენილება 7 იანვარს დაბეჭდა. ამავე დღეს მოათავსა კორესპონდენციები სოფ. ცხრაწყაროს ლ. ბერიას და 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობებში თესვისათვის მზადების მიმდინარეობაზე.

10 იანვარს გაზეთმა თესვის მზადების საკითხებს მოწინავე წერილი უძღვნა. რედაქცია, აღნიშნავს რა სერიოზულ ნაკლოვანებებს თესვის მომზადების, ტრაქტორების რემონტის და შუშა-პირუტყვის მოვლის საქმეში, სწერს:

„...საგაზაფხულო თესვისათვის მზადების პერიოდში და თესვის წარმატებით ჩატარებისათვის განსაკუთრებული მოვალეობა აკისრია ძირეულ პრესას. კედლის გაზეთებმა უნდა ასტეხონ განგაში ჩამორჩენილ უბნებზე, სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას არსებული დეფიქტების სალიკვიდაციოდ, უნდა უჩვენონ მუშაობის საუკეთესო მეთოდები, საუკეთესოთა გამოცდილება“ (№ 3).

სოფლკორთა ბრიგადის საშუალებით „ლენინელმა“ გამოარკვია თესვის მზადების მიმდინარეობა სოფ. მეორე სვირის რვა კოლმეურნეობაში და ამ მასალებს მთელი გვერდი დაუთმო. გამოარკვია, რომ ამ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის სუსტად ემზადებიან. „კოლმეურნეობები არ არიან მომარაგებული თესვისათვის საჭირო იარაღებით, არ ჩატარებულა სათესლე მასალის ვარგისიანობის შემოწმება“...

ამავე ნომერში „ლენინელმა“ გამოაშკარავა დაუდევრობისა და უყურადღებობის მთელი რაგი ფაქტები თესლის გადაცვლისა და შუშა-პირუტყვის მოვლის საქმეში.

13 იანვარს გაზეთმა დაბეჭდა რედაქციონერული სასოფლო სიტყვა, თავმჯდომარის პრეტენზიული წერილი კოლმეურნეობებში შუშა-პირუტყვის მოვლის, შესახებ, აგრეთვე ორი კორესპონდენცია სოფ. ცხრაწყაროს 26 კომუნარის სახელობისა და პირველი სვირის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობების მოწინავე ლტახანოველთა გამოცდილებაზე, რომლებიც ერთ-ერთად და ერთი-სამად გადაჭარბებით ასრულებენ სავენახე პლანტაციის ნორმებს.

„ლენინელის“ რედაქციას არც შემდეგში შეუნელებია ზეშობა. 16 იანვარს მან მოთავსა მასალა „სოფლმომარაგების“ ზესტაფონის რაიონული განყოფილების შესახებ, რომლის საწყობებში გამოუყენებლად და მოუცელელად იყარა მინერალური სასუქები, გუთნები, სათესები, ჩალის საჭრელი მანქანები, სახნისები და გუთნის სათადარიგო ნაწილები. ამავე ნომერში მოთავსებულია კიდევ 6 სხვა კორესპონდენცია ცალკეულ კოლმეურნეობებზე.

„ლენინელის“ რედაქცია თესვის მზადებასთან დაკავშირებით კარგად ეხმარება კედლის გაზეთებს, მის არგვლივ რაზმავს სოფლკორებს და კარგად აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების საქმეს.

16 იანვარს მან სპეციალური წერილი მიუძღვნა იმ საკითხს, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ კედლის გაზეთებმა თესვისათვის მზადებაში

„საგაზაფხულო თესვის მზადების მთელს მანძილზე, — ნათქვამია ამ წერილში, — კედლის გაზეთი სათავეში უნდა ჩაუდგეს სოციალისტურ შეჯიბრებას, გვიჩვენოს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადები“... (№ 5).

მაგრამ „ლენინელი“ მარტო ამ წერილით როდი დაკმაყოფილდა. შემდეგ ნომერში მან მოათავსა კონკრეტული მასალები ცალკეული კედლის გაზეთების მუშაობაზე. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ:

„ქვალითის სოფლსაბჭოს პარტორგანიზაციის ორგანო „წითელი სხივი“ ერთ თვეზე მეტია არ გამოსულა. რედაქტორს ამხ. დ. ხუსკივაძეს დავიწყებია საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხები. კედლის გაზეთს სუსტ დახმარებას უწევს პარტიული ორგანიზაცია, რის შედეგად გაზეთი თავის წინაშე დასახულ ამოცანებს ვერ უპასუხებს“. (№ 7).

იანვარსა და თებერვალში „ლენინელის“ რედაქციამ მთელ რიგ სოფლებში მოაწყო მუშსოფლკორების, კედლის გაზეთების რედაქტორების, სარედაქციო კოლეგიის წევრებისა და სამკითხველოს გამგეების თათბირები თესვის კამპანიაში მათი მონაწილეობის შესახებ.

გაზეთი თავის ფურცლებზე სისტემატურად აშუქებს სოცშეჯიბრების საკითხებს. 26 იანვარს მან მოათავსა კლდეეთის სოფლსაბჭოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები. ამ საბჭომ თესვის სანიმუშოდ მომზადებაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ქვალითისა და ცხრაწყაროს სოფლსაბჭოები. ამავე ნომერში დაიბეჭდა მასალა სოფ. ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადებში სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ, აგრეთვე კორესპონდენცია სოფელ ალავერდის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ შესახებ, რომელშაც:

„გასულ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კლდეეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა, მაგრამ სოცშეჯიბრებას ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მუხლების შემოწმება არც კაგანოვიჩის სახელობის და არც „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის გამგეობას ფიქრადაც არ მოსვლია“.

30 იანვრის მოწინავე წერილში „ლენინელი“ კვლავ უბრუნდება სოცშეჯიბრების გაშლის საკითხებს და სწერს:

„კლდეეთის სოფლსაბჭომ შეჯიბრებაში გამოიწვია ქვალითისა და ცხრაწყაროს სოფლსაბჭოები, მაგრამ სხვა ადგილებზე კი ნაკლებად იბრძვიან შეჯიბრების გაშლისათვის და ეს უმთავრესად იმის გამო, რომ მტს-ის და რაიმიწგანის ცალკეული მუშაკები კაბინეტებს არ შორდებიან, ისინი სათავეში არ ჩაუდგნენ სოცშეჯიბრების გაშლას ადგილებზე. პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი ძალიან ცოტას მუშაობს ამ მიმართულებით“ (№ 9).

„ლენინელი“ სერიოზულ ყურადღებას უთმობს და ოპერატიულ თანმიმდევრობით აშუქებს თესვისათვის მზადებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში სააგიტაციო და კულტმასობრივი მუშაობის საკითხებს (კინო, თეატრი, კლუბი, სამკითხველო და სხვ.). გაზეთი აშკარავებს ჩამორჩენის ნამდვილ მიზეზებს, ასახელებს კონკრეტულ დამნაშავეებს, ეხმარება მათ ნაკლის გამოსწორებაში და ამით ამცირებს დაწყებული საქმის ბოლომდე შეყვანას.

პირველი იანვრიდან 9 თებერვლამდე გამოსულ თორმეტ ნომერში თესვის მზადებისა და მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების საკითხებზე სულ 73 კორესპონდენცია და სამი მოწინავე წერილია დაბეჭდილი. ეს მასალები ეხებიან ასეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა ტრაქტორებს, მისაბმელი ინვენტარისა და საკოლმეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, სათესლე მასალის მომზადება, შუშა-პირუტყვის მოვლა, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა სოფლებსა და კოლმეურნეობებში, თესვის მზადებასთან დაკავშირებით კედლის გაზეთებისა და სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა, მოწინავეთა გამოცდილების ჩვენება და სხვ.

ზესტაფონის რაიონულმა გაზეთმა „ლენინელმა“ არ უნდა შეინელოს კარგად დაწყებული საქმე. მან კიდევ უნდა გააძლიეროს თესვისათვის მზადების საკითხების ოპერატიულად გაშუქება.

ორი კოლმეურნეობა შემოწმებაზე

(თელავი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

ზემო ხოდაშნის კოლმეურნეობამ „ვაზის მეგობარმა“ ამ გაზაფხულზე უნდა დათესოს ხორბალი 10 ჰექტარი, ფეტვი და ქერი 20 ჰექტ. კარტოფილი—2 და სიმინდი 30 ჰექტარი. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი თესლით. აქ დიდიხანია დაამთავრეს გლეხური ინვენტარის რემონტი, რომელიც გაზეთილია და მშრალ ადგილზე აქვთ შენახული.

კოლმეურნეობას ჰყავს 48 სული მუშა-პირუტყვი, აქედან 44 სული ოცი დღეა იკვებება კონცენტრირებული საკვებით; ამ რამდენიმე ხნის წინათ დასუსტებული მუშა-პირუტყვი ახლა ჯანსაღად გამოიყურება. კოლმეურნეები თვალსაჩინოვით უვლიან მუშა-პირუტყვს. კარგ მომვლელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან შ. დათოშვილი, ს. ჭიჭიაშვილი, თ. ამედაშვილი და ა. ლეფსვერიძე.

კოლმეურნეობა „ვაზის მეგობრის“ თავმჯდომარე ილია ქოსმენაშვილი კარგად ხელმძღვანელობს თესვის მზადების სამუშაოებს. ბრიგადებმა უკვე დაიწყეს ნაკელის გატანა მინდვრად.

მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ამავე სოფლის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაზე. მართალია, აქ მუშა-პირუტყვი ცუდად არა ჰყავთ მოვლილი და გლეხური ინვენტარიც შეკეთებულია, მაგრამ კოლმეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის ხარისხოვანი თესლით.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ფიცხელაურის ცუდი მუშაობის შედეგად დაირღვა თესლის გაწმენდის ვადა. სათესლედ გამოყოფილი 30 ცენტნერი ქერი დასარევლიანებულია. 12 თებერვლისათვის ამ კოლმეურნეობაში გაწმენდილი იყო მხოლოდ 8 ცენტნერი ქერი; ტრიერი, რომლითაც ხორბალს სწმენდენ, გაფუჭდა. იგი შესაკეთებლად ერთი თვის წინათ თელავის მტს-ის სახელოსნოში წაიღეს და მისი შეკეთება დღემდე გრძელდება. თესვის დაწყების ვადა ახლოვდება. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ფიცხელაურს ეს არ ადარდებს. სახნავი ნიადაგები გაუწმენდავია და არც ნაკელის გატანა დაუწყიათ.

ს. ყურაშვილი.

მოვსპოთ უდარდელობა მანქანა-იარაღების მოვლა-პატრონობაში

მთელ რიგ რაიონებში მანქანა-იარაღების მოვლა - პატრონობა ჯერ კიდევ შეუწყნარებელ მდგომარეობაშია. ამ მხრივ სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ გურჯაანის, ყვარლის, საგარეჯოსა და წეროვნის (თბილისის რაიონი) სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ხელმძღვანელები. ყვარლის მტს-ში ფარდულის უქონლობის გამო კომბაინებს, სალეწ მანქანებს, სათესებს და სხვ. წვიმა და თოვლი დასდით. სიმინდის ასაღები სრულიად უხმარი ოთხი კომბაინი მოუვლელობის გამო გაფუჭებულია. ამის შესახებ ყვარლის მტს-ის დირექტორი ამხ. ჭაია აცხადებს: ყვარლის სინამდვილეში აღნიშნული მანქანები საჭირო არ არის და, თუ საჭირო იქნება, შევლებავთ და ისევ ახალი იქნებაო.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა თათბირზე ამხ. სიხარეულა განაცხადა: ტრაქტორი რამდენიმე თვეა უპატრონოდ გდია მინდორშიო.

ეს ფაქტიც მოწმობს, რომ ყვარლის მტს-ის დირექტორმა ამხ. ჭაიამ კარგად არც კი იცის, თუ სად არის მისი მანქანა-იარაღები. მტს-ის მუშაკთა დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით იარაღ-მანქანების მოვლა სამარცხვინო მდგომარეობაშია.

მანქანა-იარაღების მოვლა - პატრონობის საქმე ძალზე ცუდად არის აგრეთვე გურჯაანის მტს-ში. მანქანები ყველა გარეთაა, აწვიმს და ფუჭდება. დირექტორის ამხ. ბარბაქაძის აზრით, წვიმისა და თოვლისაგან მხოლოდ ხის მასალა გაფუჭდება და მისი გამოცვლა თითქოს ძალიან ადვილია. ამავე დროს მას რაიაღმასკომისაგან ფარდულის მშენებლობისათვის მიღებული აგური არ აუთვისებია. ბარბაქაძემ ზუსტად არ იცის, სად რამდენი ტრაქტორია. თან სრულიად უპასუხისმგებლოდ აცხადებს, ტრაქტორების ნაწილი გაფუჭებულია და მინდვრად არისო. მაგრამ რამდენია ასეთი ტრაქტორი და სად, რომელ მინდორშია უპატრონოდ მიტოვებული, ამის გამორკვევასა და მოგვარებას მტს-ის მუშაკები არ დაგიდევენ. ამის შედეგია ისიც, რომ გურჯაანის მტს-შიაც სიმინდის ასაღები ოთხი კომბაინი რამდენიმე წელია წვიმაშია და დიდად დაზიანებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ყვარლისა და გურჯაანის რაიაღმასკომები დაეხმარნენ აღნიშნულ სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს, მათ ეს დახმარება სათანადოდ ვერ გამოიყენეს,—მანქანები ისევ გარეთაა.

ზევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, ზაგრამ ეს ფაქტებიც საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ მანქანა-იარაღების მოვლა-პატრონობის საქმე მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში შეუწყნარებელ მდგომარეობაშია. გურჯაანის, ყვარლის, თბილისის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს პარტრაიკომები, რაიაღმასკომები და მიწგანებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მტს-ებში და კოლმეურნეობებში მანქანა-იარაღების მოვლა-პატრონობის საქმეს, არ იღებენ გადამჭრელ ზომებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდება სახალხო ქონებას.

ამ საქმეში მიწსახკომიც უყურადღებობას იჩენს, — მდგომარეობის გამოსასწორებლად აქამდე თითქმის არაფერი გაუკეთებია.

რაიონული ხელმძღვანელი ორგანიზაციების, აგრეთვე სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გადაუდებელი ამოცანაა — სანიმუშოდ მოაწყონ მანქანა-იარაღების მოვლა - პატრონობის საქმე, უზრუნველჰყონ ყველა სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანის საუკეთესო მოვლა და მიზანშეწონილი გამოყენება, მოსპონ უდარდელობა და უპასუხისმგებლობა, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ მტს-ებსა და კოლმეურნეობებში.

ა. ჭიჭინაძე

საკ. კ. ბ. (ბ) ც. კ-ის სას.-სამ განყოფილების ინსტრუქტორი.



გუთნებისა და კულტივატორების შეკეთება საგაზაფხულო თესვისათვის ლაგოდეხის რაიონის 8 მარტის სახელობის კოლმეურნეობაში

ფოტო სტოლბაროვისა („სოიუზფოტოს“ საკ. განყ.)

ჩემი სამშობლო

მაღლა ცაში ავფრინდები
გადმოვხედავ ქვეყანას,
მაგრამ ვერსად ვერ შეეხვდები
ჩემის სამშობლოსთანას.

აქ ჩაქუჩი და ნამგალი
ძმურად შეერთებულა,
აღარ კვნესის აქ მშრომელი
წელში გასწორებულა.

აქ კაცი კაცს ვეღარ სჩაგრავს,
ვეღარ ებატონება,
ოქროს ძალა დაუკარგავს,
შრომას ეთაყვანება.

აქ თერთმეტი ეროვნება
ერთ ძმურ კავშირს ამშვენებს,
მშვიდ ცხოვრებას ეტანება,
სოციალიზმს აშენებს.

ვინც საბჭოეთს, ჩვენს სამშობლოს,
სამტროდ აუხირდება
და ეცდება შეებრძოლოს,
დედა აუტირდება.

აქ სტალინის მაღლიან ხელს
ჩვენთვის გადმოუცია,
რაც დიდებას ჰფენს მის სახელს,
ბრძნული კონსტიტუცია.

მან შეგვიქმნა ბედნიერი
და საამო ცხოვრება
მისი ღვაწლი მთელს მსოფლიოს
მარად ემახსოვრება.

მოზრდილთა სკოლას მეჯი დახმარება

თბილისის მე-15 მოზრდილთა საშუალო სკოლამ 1937-38 სასწავლო წლის პირველი მეოთხედი დიდი გარღვევით დაამთავრა, რაც შედეგი იყო სკოლის ყოფ. დირექტორის, ხალხის მტრის, მავნებლური მოქმედებისა.

სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა ხელი მოჰკიდა მავნებლობის შედეგების სასწრაფო ლიკვიდაციას. ამის შედეგად სკოლამ შესძლო პირველი მეოთხედის სამარცხვინო ჩამორჩენის აღმოფხვრა და სასწავლო წლის მეორე მეოთხედში მიაღწია აკადემიურ წარმატებას 78,5 პროცენტით, რაც პირველ მეოთხედთან შედარებით მიღწევაა, მაგრამ საერთოდ საკმარისი არ არის.

სასწავლო პროგრამების მაღალხარისხოვანი შესრულების, საუკეთესო პედაგოგიური ოსტატობის ნიმუშები მოგვცეს მასწავლებლებმა: კ. გუკასოვმა, გ. გრიგორიანმა, ვ. სულუხიამ, შ. ცაგარელმა, ა. ხაინდრავამ, ე. ძაგანიამ და სხვ.

სკოლას ჰყავს საუკეთესო ფრიადოსანი მოსწავლეები, რომლებიც წარმოებაშიც მოწინავე ადამიანებად ითვლებიან: ფ. ხარტაროვა, დ. ულიანცევი, დ. ბესსტრახოვი, ი. ბეგიაშვილი, მ. ბუმბიაშვილი, დიმიტრიევი, ჩუხრაა და სხვ. ბევრი მათგანი წარმოებაში სტახანოველია, კომკავშირის ორგანიზაციის აქტიური მუშაკია. მაგალითად, დიმიტრიევი, თამბაქოს ქარხნის მუშა, კომკავშირის ორგანიზატორია, ხოლო სკოლაში ფრიადოსანია, ასრულებს მამასახლისის მოვალეობას, მეტად თავაზიანი ახალგაზრდაა: ფ. ხარტაროვა, კომკავშირის წევრი, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშა, ყოფილი უპატრონო, სბავშვო სახლში აღზრდილი, სკოლის ერთერთი საუკეთესო ფრიადოსანია, შესანიშნავია კარგი ყოფაქცევით. ი. ბეგიაშვილი, უპატრონო ახალგაზრდა, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის სტახანოველი მუშაა.

მეცნიერების საფუძველთა სწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის სკოლამ სასწავლო წლის მეორე მეოთხედში შეიძინა და მოაწყო: ქიმიის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველების კაბინეტები და სასკოლო ბიბლიოთეკა 8000 მანეთის ღირებულებისა, რომელთა რაციონალური გამოყენება დიდად უწყობს ხელს აკადემიურ წარმატებას და მუშა-ახალგაზრდობის კულტურული დონის ამაღლებას.

სკოლის ერთერთი ჩამორჩენილი უბანია მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. უკანასკნელ დროს გამოცოცხლდა კლასის დამრიგებელთა მუშაობა, მათ შეისწავლეს თვითეული მოწაფის ბინა და სამუშაო ადგილი. კლასის დამრიგებელთა შორის კარგი და ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევა მე-7 კლასის (რუსული სექტორი) დამრიგებელი ამხ. ვ. გუკასოვი. კარგი მუშაობის შედეგად მისი კლასი მთელს სკოლაში ყოველმხრივ მოწინავეა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სოცშეჯიბრების სწორი ორგანიზაციის მეოხებით აკადემიური შემოწმებისას არცერთი სუსტი ნიშანი არ დაწერილა.

საქ. განსახკომი და მისი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მოზრდილთა საშუალო სკოლებს. მათ დღემდე არაფერი გაუკეთებიათ მეთოდური ლიტერატურის შესაქმნელად, რომელშიაც მოცემული იქნებოდა მოზრდილთა სკოლების სპეციფიკა. მთელ რიგ საგნებში ჯერ კიდევ არ არის სტაბილური პროგრამები და სახელმძღვანელოები სპეციალურად მოზრდილთა სკოლებისათვის. არც მასწავლებელთა მეთოდური მომსახურება და დახმარებაა დაყენებული ჯეროვან სიმაღლეზე. მართალია, მოზრდილთა სკოლებისათვის არსებობს თბილისის განათლების განყოფილების საქალაქო მეთოდკაბინეტები, მაგრამ მათი მუშაობა ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა მასწავლებლობის გაზრდილ მოთხოვნებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ კაბინეტებს დღემდე არ დაუყენებია მასწავლებლებამდე მესამე მეოთხედის სამუშაო პროგრამები. განათლების განყოფილების ინსტრუქტორ-მეთოდისტებს დღემდე არ გამოურკვევიათ არცერთი საგნის სწავლების დაყენება. როგორც სჩანს, განათლების ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად არიან სკოლებთან დაკავშირებულნი, სუსტია მათი დახმარება სასწავლო პედაგოგიური პროცესის უკეთ მოწესრიგებაში.

არც კომკავშირის ორგანიზაციები უწევენ ჯეროვან დახმარებას სკოლებსა და მასწავლებლებს. მაგალითად, 26 კომ. სახ. კომკავშირის რაიკომიდან სერიოზულად არავის შემოუხედნია სკოლაში, რის გამო სკოლაში დღემდის არ არის კომკავშირის ორგანიზაცია და პოლიტწრეები. არც საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციები იჩენენ ინიციატივას კომკავშირელთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის სწავლების საქმეში. იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდა მუშა, რომელიც წარმოების მოუწყვეტლივ საშუალო განათლებას ღებულობს, სხვადასხვა დავალებისაგან განტვირთონ, ხშირად მას ახალ დავალებებს აკისრებენ. მაგალითად, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშა-ქალს, კომკავშირელ მარიამ სუხორუკოვას, რომელიც მეტად მონდომებულია და ყოველმხრივ ცდილობს ფრიადოსანი იყოს, კომკავშირის საქარხნო კომიტეტი გზავნიდა ორთვიან კურსებზე, რისგანაც მხოლოდ ჩვენი ჩარევის შემდეგ გაანთავისუფლეს.

შეიძლება ითქვას, რომ არც სხვა ქარხნის დირექტორი და საამქროების უფროსები უწყობენ ხელს იმ მუშა-ახალგაზრდობას, რომელიც მოზრდილთა საშუალო სკოლაში სწავლობს. აუცილებელია წარმოების ხელმძღვანელებმა მეტი დახმარება გაუწიონ მოზრდილთა სკოლას და მოსწავლე მუშა-ახალგაზრდობას.

საჭიროა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა ენერგიულად დაეხმაროს სკოლის მუშაკებს მუშა-ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ჰ. შამათავა

თბილისის მე-15 მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორი.

საჩხერის საავადმყოფო

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპ.)

საჩხერე საკმაოდ მოზრდილი და კულტურული დაწესებულებებით მდიდარი სოფელია, ქალაქის ტიპისა. ამ სოფელში დიდიხანია არსებობს ერთი 30-საწოლიანი საავადმყოფო. ეს საავადმყოფო, გარდა თვით საჩხერისა, ემსახურება არგვეთის, ჭალის, ცხამის, გორისის, საირხის, ქორეთის, ითხვისის, სარეკის, ჩიხისა და პერევისის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების 50 ათასამდე მოსახლეობას.

საავადმყოფოს ორსართულიანი შენობის ქვედა სართულში 10-საწოლიანი სამშობიარო განყოფილებაა მოთავსებული. მეორე სართულში მოწყობილია 20 საწოლი, ამბულატორია, კბილის საექიმო კაბინეტი და სხვ.

საავადმყოფოს არა ჰყავს შტატით გათვალისწინებული ქირურგი და გინეკოლოგი, ძალიან ცოტა აქვს თეთრეული (ზეწრები, საცვლები), საბანი სამოცის ნაცვლად მხოლოდ 40 ცალია, მთელ საავადმყოფოში ერთადერთი პირისსაბანი მოწყობილობაა, რომლითაც სარგებლობენ მომვლელი პერსონალიც და ავადმყოფებიც.

საავადმყოფოს შენობა სიძველის გამო დანგრევის კარამდეა მისული. კედლები დახეთქილია, ფასადი გადმოწეული. ეს გარემოება საფრთხეს უქადის როგორც ავადმყოფებს, ისე ექიმებსა და მომვლელ პერსონალს.

ეს საკითხი რამდენჯერმე განიხილა ჭიათურის რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა, რომელმაც საავადმყოფოსათვის იქვე მახლობლად სათანადო შენობა გამონახა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ შენობასაც კაპიტალური შეკეთება სჭირდება, ხოლო საამისო თანხები რაიონს არ გააჩნია. ახლა საკითხი ჯანსახკომის წინაშეა დასმული, მაგრამ იქაც ჯერჯერობით დაპირების იმედი რეალურად არაფერი გაუკეთებიათ.

საქმე დაყოვნებას არ ითმენს. საჭიროა საქ. ჯანსახკომმა სასწრაფოდ განახორციელოს ღონისძიებანი საჩხერის საავადმყოფოს ნორმალურ პირობებში ჩაყენებისათვის.

შ. კერძიძე

დავეხმაროთ სჯახანოველებს

ფულუკიძე. სოფელ გორდის კოლმეურნეობაში ბევრი სტახანოველია, მაგრამ მათს დახმარებაზე ნაკლებად ზრუნავენ. ბრიგადირმა გ. ბობოხიძემ შარშან 360 შრომადღე გამოიმუშავა და სამუშაო ნორმები დიდი გადამეტებით შეასრულა, მაგრამ მის გამოცდილებას კოლმეურნენი არ იცნობენ. ბრიგადებს შორის არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება თესვის მზადებაზე.

ჟ. ბოგბოხიძე.

მ. გუგელმანი

იაპონელ ინტერვენტთა განადგურება

1918 წლის 5 აპრილს, იაპონელებმა საზღვაო დესანტის შემდეგ ვლადივოსტოკში გადმოსხეს თავიანთი რეგულარული ნაწილები.

ჩვენი პარტიის ბელადებმა ლენინმა და სტალინმა ვლადივოსტოკის საბჭოს გაუგზავნეს შემდეგი დეპეშა:

„მდგომარეობას ფრიად სერიოზულად ვთვლით და უაღრესად კატეგორიულად ვიფრთხილებთ ამხანაგებს: ილუზიები არ იყოს: იაპონელები, ალბათ, შემოტევას დაიწყებენ. ეს აუცილებელია. მათ, ალბათ, უკლებლივ ყველა მოკავშირე დაეხმარება. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოთ მზადება, მზადება სერიოზული, მზადება მთელი ძალღონით. ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთ სწორ უკანდახევას, მარაგისა და სარკინიგზო მასალების წამოღებას. ნუ დაიხავთ განუხორციელებელ მიზნებს. მოამზადეთ რელსების აფეთქება, ვაგონებისა და ლოკომოტივების წამოყვანა, მოამზადეთ ნაღმების ღობურა ირკუტსკთან ან ზაბაიკალიეში. კვირაში ორჯერ ზუსტად გვაცნობეთ, სახელდობრ რამდენი ლოკომოტივი და ვაგონი გამოიყვანეთ, რამდენი დარჩა. უამისოდ ჩვენ არაფერი გვჯერა და არც დავიჯერებთ. ჩვენი მხრივ დახმარება დამოკიდებული იქნება თქვენს პრაქტიკულ წარმატებებზე ვლადივოსტოკიდან ვაგონების და ორთქლმავლების გამოყვანის საქმეში, ხიდების აფეთქების მომზადების საქმეში და სხვ.“.

შორეული აღმოსავლეთის ბოლშევიკებისათვის ეს მოქმედების საბრძოლო პროგრამა იყო. ამ პროგრამის თანახმად, საჭირო იყო ურალს აქეთ გადმოზიდვა უდიდესი მარაგისა, რომელიც მაშინ ვლადივოსტოკის, ხაბაროვსკის, ბლაგოვეშჩენსკის ნავსადგურების საწყობებში ინახებოდა და ტრანსპორტის მოშლა, რათა შეფერხებულიყო მტრის მოძრაობა.

იაპონელებმა ბრიმორიეში, ამურზე და ზაბაიკალიეში 100.000-ზე მეტი რჩეული ჯარები გამოგზავნეს. დაიწყო შაშხანებით, ბერდანებით და საფანტის თოფებით შეიარაღებული პარტიზანების გაუგონარი, მძაფრი ბრძოლა ტყვიამფრქვევებით, მძიმე ქვემეხებით, ნაღმტყორცნებით და განადგურების სხვა იარაღით თავით ფეხამდე შეიარაღებულ ინტერვენტებთან.

ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით საბჭოთა რუსეთს, მაგრამ გვახსოვდა ლენინ-სტალინის მითითება, ჩვენ არ ვისახავდით „განუხორციელებელ მიზნებს“, მტერს ვაჩერებდით რკინიგზის ვიწრო ზოლთან, რომელსაც ხშირად ვანგრევდით, დიდ ზიანს ვაყენებდით ცალკე ნაწილებზე მოულოდნელი თავდასხმით, ვსპობდით საგუშაგოებს და მკაცრ ტაიგაშივე ვბრუნდებოდით.

შორეული აღმოსავლეთის მშრომელები მუშათა და გლეხთა არალეგალურ კრებებზე მიიღებდნენ ხოლმე გადაწყვეტილებებს, რომლებიც ყველა მუშებს, მშრომელებს, გლეხებსა და ყაზახებს მოუწოდებდნენ მოეწყოთ პარტიზანული რაზმები ინტერვენტებთან და თეთრგვარდიელებთან საბრძოლველად.

იაპონელ ინტერვენტთა ჯარები დამარცხებულ იქნენ პრიმორიეში, ამურზე და ზაბაიკალიეში.

1919 წ. 4 თებერვალს ამურის ოლქის სოფ. ანდრეევკასთან, ორმოცგრადუსიან ყინვაში იაპონელთა ჯარების ნაწილები რამდენჯერმე ეკვეთნენ პარტიზანებს. მაგრამ პარტიზანებმა ზუსტი სროლით მათ უკან დაახვევინეს, მოუკლეს ოთხასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთა შორის იყვნენ მაიორი ხორი და პორუჩიკი ფურიტანი.

1919 წ. მარტში სოფელ ჩუდინოვკასთან პარტიზანებმა გაანადგურეს ოთხასი კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმი. შესანიშნავმა შორეულაღმოსავლეთელმა სნაიპერებმა ზუსტი სროლით გასწყვიტეს მთელი რაზმი.

შორეულ აღმოსავლეთში სამოქალაქო ომის ისტორიაში შესანიშნავია იუხტის ბრძოლა. იგი ზედიზედ შვიდ საათს გრძელდებოდა. პარტიზანებმა დაამარცხეს იაპონელთა ჯარები, რომლებმაც დაჰკარგეს დამსჯელი რაზმის შტაბის თითქმის ყველა მუშაკი, ერთი გენერალი, ძმავალი ოფიცერი, რვაასამდე ჯარისკაცი, იარაღისა და საჭურველის უდიდესი რაოდენობა. დაჭრილი ათასზე მეტი იყო.

ბრძოლის მრავალი ასეთი ეპიზოდის მოყვანა შეიძლება. პარტიზანები სასტიკად ურტყამდნენ იაპონელ ინტერვენტებს. მაგალითად, მარტო ბოგდატის ბრძოლაში ზაბაიკალიეში, რომელიც სამ დღე-ღამეზე მეტს გრძელდებოდა, იაპონელ-თეთრგვარდიელთა ჯარებმა დაჰკარგეს ორი ათასზე მეტი ოფიცერი და მებრძოლი.

1922 წლის 6-9 თებერვალს სახალხო რევოლუციური არმიის ნაწილები შეუპოვარი ბრძოლებით მიიწევდნენ ვოლოჩაევკისაკენ, რომელიც იფარავდა ხაბაროვსკთან მისასვლელ გზებს.

ვოლოჩაევკის ბრძოლის შესახებ მთავარსარდალი ამხანაგი ბლიუხერი სწერს:

„... თოვლში, ყინვაში, ნახევრადშიერები, ღია ცისქვეშ გატარებული ექვსი დღის შემდეგ, ჩვენი რაზმები მიადგნენ მოწინააღმდეგის ოსტატურად გაკეთებულ ღობურებს ვოლოჩაევკასთან. მათ ამოძრავებდათ ერთი წადილი — გამარჯვება ან სიკვდილი, — და მათ გაიმარჯვეს. და ის, რაც მოწინააღმდეგის აზრით, ჩვენთვის მიუწვდომელი იყო, მიიწეულ იქნა ჩვენი რევოლუციური რიგების მიერ, მიუხედავად სიცივისა, შიმშილისა, ადგილმდებარეობის მხრივ ჩვენთვის მეტისმეტად არახელსაყრელი პირობებისა.

... ერთი შემიძლიან ვთქვა: რევოლუციისა და რესპუბლიკის საქმისათვის თავდადებული ერთგულება, იშვიათი სიმამაცე, გამბედაობა, უდიდესი თავდადება და რევოლუციური აღტყინება გამ

ესპანეთის ფრონტებზე

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 19 თებერვლის ცნობის თანახმად, მეამბოხენი ცდილობდნენ დაუფლებოდნენ ტერუელის მახლობლად მდებარე მანსუეტოს პოზიციებს. ფაშისტების მრავალი თვითმფრინავი მთელი დღის განმავლობაში ყუმბარებსა და ტყვიამფრქვევებს უშენდა რესპუბლიკელთა პოზიციებს, გზებსა და ზურგში მდებარე სოფლებს. მეამბოხეებმა შესძლეს წინ წაწიათ და დაეკავებინათ სანტა-ბარბარას კალთები.

რესპუბლიკელთა ავიაცია დაედევნა ფაშისტთა ყუმბარმტყორცნების ესკადრილიას და ბრძოლა გაუმართა მათ. რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს მეამბოხეთა ერთი თვითმფრინავი. ამ თვითმფრინავის გერმანელი მფრინავი, რომელიც მძიმედ დაიჭრა, ტყვედ წამოიყვანეს.

ცენტრალური ფრონტი

გვადალახარის პროვინციის ჩრდილოეთში 19 თებერვალს დილით გააფთრებული საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. მეამბოხენი ცდილობდნენ გაერღვიათ რესპუბლიკელთა ხაზი, მაგრამ უშედეგოდ.

ესპანის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარებმა გვადალახარის სექტორში აღმოაჩინეს მეამბოხეთა რაზმი, რომელიც დაზვერვას აწარმოებდა მდინარე ოფნარესის გაყოლებით. რესპუბლიკელთა ჯარებმა უეცარი იერიშით გაჰფანტეს ეს რაზმი, ამასთანავე ტყვედ წამოიყვანეს 8 კაცი.

სამხრეთის ფრონტი

მდგომარეობა უცვლელია.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილო ჩინეთში

ხანკოუ, 20 თებერვალი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის ჩრდილოეთ უბნის სექტორში 18 თებერვალს ხელჩართული ბრძოლა სწარმოებდა ლიანსიადიანის (იანჯოუს სამხრეთით) ჩრდილოეთით მდებარე მაღლობის ხელში ჩასაგდებად. მაღლობი რამდენიმეჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში.

ფრონტის მარცხენა ფლანგზე დღე-ღამის განმავლობაში ბრძოლა გრძელდებოდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის ქალაქ ძინინის გარშემო. ქალაქის ჩრდილოეთის ჭიშკარი ხელთ იგდეს ჩინელებმა. აღმოსავლეთის ჭიშკართან ბრძოლა სწარმოებს ახლად მოსულ იაპონელთა მაშველ ჯარებთან. ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ვენშანის მახლობლად (ძინინის ჩრდილოეთით).

ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის სექტორში ბრძოლა გრძელდება. გაფანტრებული ბრძოლა მოხდა სინსიანის სადგურის მისავალში. უკანასკნელი ცნობებით, 16 თებერვალს, საღამოს ჩინელებმა დაიხიეს სინსიანიდან; იაპონელთა ჯარებმა აიღეს აგრეთვე ხუძია (სინსიანიდან დასავლეთისაკენ).

შანსის პროვინციის ფრონტზე მდგომარეობა კვლავ გამწვავდა. იაპონელებმა 16 თებერვალს ტაიუანიდან გადაგზავნეს ძიაოჩენში (ტაიუანის დასავლეთით) მაშველი ჯარი 1.500 კაცის, 17 მძიმე და 40 მსუბუქი ქვემეხის რაოდენობით. იაპონელთა წინწაწევას ხელს უწყობდა 8 თვითმფრინავი. იაპონელთა ჯარებმა მოახერხეს დაეკავებინათ ქალაქები სიაოფინ-იანი (გამოტოვებულია), პინ-იხი და ვეიშუი. ჩინელთა ჯარები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ.

ცენტრალურ ჩინეთში.

ხანკოუ, 20 თებერვალი (საკდესი). უკანასკნელ დღეებში ნანკინის სამხრეთით მდებარე რაიონში იაპონელები გაძლიერებულ იერიშებს აწარმოებენ ჩინელთა პოზიციებზე ქალაქ უხუს მახლობლად. ამ რაიონში მათ შესძლეს ძლიერი საარტილერიო სროლით უკან დაეწიათ ჩინელები ქალაქიდან. ჩინელთა ჯარები კონტრიერიშზე გადავიდნენ. მათ ხელთ იგდეს ხესიანი (ნანკინის სამხრეთით, მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე). იაპონელთა ჯარებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

გუშინ ჩინელთა ავიაციამ მდინარე იანძიში ჩასძირა იაპონელთა ნაღმისანი.

ოფიციალურად ადასტურებენ, რომ ჩინელებმა აიღეს ქალაქები გუანდე, ლანსი, გაოჩუნი, ლიანი და ისინი (ტაიხუს ტბის დასავლეთით).

უთანხმოებანი ინგლისის მინისტრთა კაბინეტში

პარიზი, 20 თებერვალი (საკდესი). ლონდონიდან მიღებულ ცნობებს, რომ ავსტრიის ამბებისა და ინგლისის საგარეო პოლიტიკის ირგვლივ ინგლისის მინისტრთა კაბინეტში, გამწვავებულ უთანხმოებას აქვს ადგილი, მთავარი ადგილი უკავიათ პარიზის გაზეთებში. გადმოგვცემენ, რომ უთანხმოებაა ჩემბერლენსა და იდენს შორის. პერტინაქსი „ეკო დე პარიში“ იუწყება, რომ საფრანგეთის ელჩმა 18 თებერვალს წინადადება მისცა იდენს გამოვიდეს ბერლინში დეკლარაციით იმის შესახებ, რომ საფრანგეთსა და ინგლისს განზრახვა აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ გერმანიის ძალადატანებითს მოქმედებას ცენტრალურ ევროპაში. იდენმა უპასუხა კორბენს, რომ ინგლისი პასუხს გასცემს მხოლოდ კაბინეტის სხდომის შემდეგ.

იდენსა და ჩემბერლენს შორის უთანხმოება ჩამოვარდა იტალიასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე.

პერტინაქსის ცნობით, ჩემბერლენი იმ აზრისაკენ იხრება, რომ იტალიისათვის მოულოდნელი იყო შუშნიგის შეხვედრა ჰიტლერთან და გერმანიის ულტიმატუმი.

ამიტომ ჩემბერლენმა 18 თებერვალს მიიწვია იტალიის ელჩი გრანდი. ჩემბერლენმა, — განაგრძობს პერტინაქსი, — საუბრის დროს თითქოს აგრძნობინა გრანდის, რომ ინგლისს შეეძლო იურიდიულად ეცნო იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობა, თუ სამაგიეროდ იტალია შეპირდებოდა „კეთილსურვილად განეხილა“ საკითხები ესპანეთის, არაბულ ქვეყნებში იტალიელთა პროპაგანდის და ლიბიაში იტალიის სამხედრო მზადების შესახებ. მაგრამ იდენი ფიქრობს, რომ მუსოლინის ტიპის მოთამაშესთან ასეთი კომბინაცია შეიძლება მომაცდუნებელი აღმოჩნდეს. გარდა ამისა, იდენი ფიქრობს, რომ გერმანია და იტალია უკვე შეუთანხმდნენ ერთმანეთს მათი პოლიტიკის შესახებ ცენტრალურ ევროპაში.

მიუხედავად ამისა, საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში კომპრომისი ჩემბერლენსა და იდენს შორის შესაძლებლად მიაჩნიათ.

იდენი გადადგა

ლონდონი, 20 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, იდენი გადადგა. გადადგომას წინ უსწრობდა უთანხმოებანი იდენსა და ჩემბერლენს შორის ინგლისის კაბინეტის დღეანდელ სხდომაზე ინგლის-იტალიის მოლაპარაკების შესახებ საკითხის განხილვისას. კაბინეტის წევრები, სააგენტოს ცნობით, იმის შიშით, რომ იდენის გადადგომას სერიოზული პოლიტიკური კრიზისი შეუძლია შეჰქმნას, ცდილობდნენ მიეღწიათ შეთანხმებისათვის საგარეო საქმეთა მინისტრის თვალსაზრისით, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა მიეღო იტალიას მოლაპარაკების დაწყებამდე მთელი რიგი გარანტიები. ამ თვალსაზრისს, როგორც სააგენტო აღნიშნავს, იზიარებს კონსერვატიული და ოპოზიციური პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მეცნიერთა ახალი კადრები

ლენინგრადი, (საკ. კორ.). 14 თებერვალს ლენინგრადის სახ. უნივერსიტეტში შესდგა ბიოლოგიური ფაკულტეტის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა, რომელზედაც სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტმა ალ. ლორთქიფანიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიური მეცნიერების კანდიდატის ხარისხზე. ლორთქიფანიძის თემა იყო „საქართველოს მუხა და მუხნარი“.

დისერტანტის ოფიციალურმა ოპონენტებმა სამეც. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ვ. სუკაჩევმა, საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარემ პროფ. მ. ვინოგრადოვმა, სამეც. აკად. წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ნ. ა. ბუშმა, პროფესორებმა ილინმა და ილკინმა მაღალი შეფასება მისცეს ალ. ლორთქიფანიძის დისერტაციას.

საკვალიფიკაციო კომისიის დადგენილებით ლორთქიფანიძეს მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერების კანდიდატის ხარისხი. ახალგაზრდა მეცნიერი მუშაობას გააგრძელებს საქართველოში.

ყრუ-მუნჯთა სკოლაში

თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა — ინტერნატი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში შეიქმნა.

დღეს თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა — ინტერნატში 8-18 წლის ასაკის სხვადასხვა ეროვნების 131 ყრუ-მუნჯი ბავშვი სწავლობს, აქედან 85 ბავშვი უპატრონოა და რაიონებიდან არის ჩამოყვანილი, რომლებიც ამავე სკოლის ინტერნატში იზრდებიან. ისინი უზრუნველყოფილნი არიან გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობებით.

სკოლაში სასწავლო პროგრამები შედგენილია მოსკოვისა და ლენინგრადის ყრუ-მუნჯთა სკოლების მიხედვით და შეიცავენ ყველა იმ დისციპლინას, რაც ჩვეულებრივი საშუალო სკოლის პროგრამაშია. დამატებით ისწავლება სპეციალური საგნები, როგორიცაა, მეტყველების ტექნიკა, სიტყვის დაყენების ტექნიკა, რიტმიკა, მუსიკა, ფოტო-საქმე და სხვ. გარდა ამ საგნებისა, სკოლაში არსებობს სადურგლო და ჭრა-კერვის სახელოსნო, სადაც ბავშვები ეჩვევიან შრომას იმის მიხედვით თუ რა სპეციალობისადმი აქვთ მისწრაფება.

სმენაშენარჩუნებულ მოსწავლეთათვის არსებობს აგრეთვე მიკროფონის კლასი, რომელიც უკანასკნელ ხანებში შევსებულია სმენისა და მეტყველების სპეციალური აპარატებით. სკოლაში შეტანილია მთელი რიგი ახალი სამეცნიერო-სასწავლო მეთოდები და ყრუ-მუნჯ ბავშვთა საალმზრდელო დიდაქტიური მასალები, რაც ძუშაობის საუკეთესო შედეგებს იძლევა.

ყველა საგანში მეცადინეობა მიმდინარეობს ტუჩებიდან ამოკითხვის მეთოდით, რომელსაც ბავშვი პირველ კლასიდანვე ეჩვევა.

ამავე დროს უნდა აღანიშნოს ისიც, რომ სკოლა — ინტერნატში ბინის სივიწროვის გამო მთელი რიგი არანორმალურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ეს მდგომარეობა ნაწილობრივ გამოწვეულია იმითაც, რომ სკოლის ბინაში 2 ოთახი კერძო მობინადრეებს უჭირავს. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება ამ სკოლის შენობიდან კერძო მობინადრეების გამოსახლებაზე და აგრეთვე სკოლისათვის შესაფერისი დამატებითი შენობის ასაგებათ, მაგრამ ამ დადგენილების შესრულება ჭიანურდება.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. სურათზე: ნუნუ მაჭავარიანი (დოცენტ ჩარექიშვილის კლასი) გაკვეთილზე. ფოტო ბუდუშტსკისა და განზბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

კინოფილმი „ვოლოჩაევკის დღეები“ სურათზე: ანდრიას როლში — ნიკ. დოროხინა, მაშას როლში — რესპ. დამსახ. არტ. ვ. მიასნიკოვა.

რუსთაველის სესია

ლენინგრადი (საკ. კორ.). ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსთაველის სესია დამთავრდა. სესიაზე მოსმენილ იქნა მეტად საინტერესო მოხსენებები.

აკადემიკოს მეშჩანინოვის ვრცელი შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ბერკოვი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო შოთას პოემის გამოცემების ქრონოლოგია. ბერკოვმა მოიყვანა დიდძალი მასალა, შეკრებილი ძველ ქართულ და რუსულ გაზეთებიდან, აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულ მოღვაწეთა აზრი რუსთაველის უკვდავ ნაწარმოების შესახებ.

პროფ. შიშმარიოვმა წაიკითხა მოხსენება „შოთა რუსთაველი და მსოფლიო ლიტერატურა“, ვარლამ დონდუამ — „რუსთაველის ეპოქა“, ფრეიმანმა—„რუსთაველი და ოსური ფოლკლორი“.

სესიაზე „ვეფხის-ტყაოსნის“ მხატვრული კითხვით გამოვიდნენ ქართულ, რუსულ, გერმანულ, უზბეკურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ტაჯიკურ ენებზე.

უნივერსიტეტის სამ ვრცელ ოთახში მოწყობილია გამოფენა „რუსთაველის ეპოქა“. აქ არის პოემის ვახტანგისეული ეგზემპლარი, მკვლევართა ლიტერატურა რუსთაველზე, ქართველი მხატვრების სურათების ილუსტრაციები, ქართული მინიატურების და მეთოთხმეტე საუკუნის მატერიალური ძეგლების ფოტო-სურათები, შოთას სიიუბილეო მედალი და პრესის გამოხმაურება.

უერთდებიან მეცნიერ-მუშაკთა მიმართვას

თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მეცნიერ-მუშაკები და პედაგოგები ერთსულოვნად უერთდებიან მოსკოვისა და საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა მიმართვებს წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამხედრო-საშეფო მუშაობის გაძლიერების შესახებ.

—საქართველოს ყველა მეცნიერ-მუშაკთან ერთად ჩვენი ტექნიკუმის კოლექტივი, — ნათქვამია ერთხმად მიღებულ წერილში,—კისრულობს ვალდებულებას ყოველმხრივ შეუწყოს ხელი წითელი არმიის მეთაურებისა და რიგითი მებრძოლების შეიარაღებას მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლების ცოდნით.

ინდუსტრიული ტექნიკუმი კისრულობს თავისი ქიმიური ლაბორატორიებითა და ქიმიკოს-ლექტორთა ძალებით აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავდაცვაავიაქიმის მუშაობის გაძლიერებაში, კაბინეტები და ელექტროტექნიკური ლაბორატორიები გამოიყენოს წითელარმიელთა პრაქტიკული ვარჯიშობის ჩასატარებლად.

ძველებური იარაღის გამოფენა

საქართველოს მუზეუმის ისტორიული განყოფილება აწყობს მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავის აღსანიშნავად ძველებური იარაღის გამოფენას.

მუზეუმს მოეპოება როგორც ცივი, ისე ცეცხლსასროლ იარაღის უმდიდრესი კოლექციები. გამოფენაზე განსაკუთრებით მდიდრად იქნება წარმოდგენილი კავკასია და ირანი.

მრავალრიცხოვან იშვიათ და ძვირფას ხმალ-ხანჯალს შორის არის ეგზემპლარები ცნობილ მეიარაღეთა ნიშნებით: ანდრია ფერარის, შაჰ-აბაზის ოსტატ ასაულ ისფაჰანელის, ორლესული ხმალი, ეგრეთწოდებული „ზიულფუგარი“, დამასკის ხმლის ეგზემპლარები ოქროს ზარნიშათ, „ბორდა“, „მგელუკა“ და სხვ.

ორიგინალური და მდიდარია თოფების კოლექცია. მათ შორის საინტერესოა პატრუქანი და კაჟიანი თოფები XVII—XVIII საუკუნეებისა ბორბლიანი საკეტით (ნაპერწკალს იწვევდნენ ბორბლის ტრიალით).

დამბაჩები შეგროვილია სხვადასხვა სახის: დაწყებული ზინნაკეთები პატრუქიანი და კაჟიანი დამბაჩებიდან, ვიდრე ფისტონიან დამბაჩებამდე და რევოლვერის პირველ ტიპებამდე.

გამოფენაზე ნაჩვენები იქნება აგრეთვე აბჯარი. აბჯარ-საჭურველის ლითონის ნაწილები, მუზარადები, ლითონის ფარები და მარტორქის ტყავის ფარები.

მეტად საინტერესოა ბრინჯაოს იარაღის კოლექციები, რომლებიც აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს წარმოებული გათხრებისას: ნაჯახები, ისრისა და შუბის ბურნუკები, ხანჯლები, მახვილები.

მუზეუმის კოლექციას აქვს ათასზე მეტი სხვადასხვა სახის ექსპონატი.

გამოფენა გაიხსნება 23 თებერვალს. (საქდესი).

სამკურნალო დაწესებულებათა დაჯილდოვება

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებამ შეაჯამა რაიონის სამკურნალო ქსელში სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ჯანმრთელობის განყოფილებამ რაიონის გარდამავალი დროშა მიუსაჯა პირველ მთლიან დისპანსერს.

ფულადი ჯილდო 1.000 მანეთის რაოდენობით მიეცა მე-7 პოლიკლინიკას, ხოლო საბურთალოს პოლიკლინიკას მიეცა 750 მანეთი.

დახურული ტიპის პოლიკლინიკებიდან დაჯილდოვებულია სტუდენტთა ქალაქის პოლიკლინიკა, რომელსაც მიეცა 750 მანეთი.

სასამართლო

„გაჩეჩილაძეს ეძებენ“

ცაგერის რაიონის სოფ. ლაილაშის აფთაქის გამგედ მუშაობდა გახრწნილ-გადაგვარებული კოწია გაჩეჩილაძე. მან გამოიყენა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა და მისი პრაქტიკანტი დ. ხეცურიანი თავისი ყინის დაკმაყოფილების მსხვერპლი გახდა.

შემდეგ ჩვეულებრისამებრ სხვა „ყვავილზე გადაფრინდა“, დ. ხეცურიანი კი თავისი ბავშვით დარჩა უმწეო მდგომარეობაში.

დაიწყო დაუსრულებელი კვლევა-ძიება ცაგერის სასამართლო - პროკურატურის ორგანოებში, რაც ორი წლის შემდეგ უკანონო და უსუსური განაჩენის გამოტანით დასრულდა.

უზენაეს სასამართლომ გააუქმა ეს განაჩენი და საქმე გადასცა ისევ ცაგერის სასამართლოს ახალ შემადგენლობას.

მას აქეთ გავიდა რამდენიმე თვე, მაგრამ საქმეს არც თავი უჩანს, არც ბოლო. ცაგერის სასამართლომ რამდენიმეჯერ დანიშნა საქმის გარჩევა, მაგრამ გაჩეჩილაძემ დასწრება არ იკადრა. სასამართლო-პროკურატურის ორგანოებმა კი იმდენი უსუსურობა გამოიჩინეს, რომ ვერ შესძლეს სოფ. ლაილაშიდან ცაგერში მისი მიყვანა.

უკანასკნელად გაჩეჩილაძემ მთლად დასტოვა ცაგერის რაიონი და სადღაც გადაიხვეწა. ბოროტი ენები ამბობენ სასამართლო - პროკურატურის ორგანოები მას ისევ ლაილაშში ეძებენო.

დ. ხეცურიანი თავისი ჩვილი ბავშვით ყოველდღე აკითხავს სასამართლოს, იქ კი აიმედებენ — „გაჩეჩილაძეს ეძებენო“. ეს „ძებნა“ ჯერჯერობით სოფ. ლაილაშს არ გასცილებია.

რა ჰქნას უმწეო ქალმა?

ეგ. გვასალია

მელიების მეურნეობა ბაკურიანში

ბორჯომი (საკ. კორ.) მარად მწვანე ტყით შემოსილ ბაკურიანში გაშეხებულია ნადირთ მომშენებელი საბჭოთა მეურნეობა. იგი 1933 წლის დამლევს დაარსდა. მაშინ მეურნეობას 36 ძუ და 24 ხვადი მელია ჰყავდა.

1937 წელს ჰყავდათ სულ 458 სული მელია. აქედან მოსკოვის საექსპორტო ბეწვეულის ორგანიზაციას გაეგზავნა 220 მელიის საუკეთესო ხარისხის ტყავი.

ბაკურიანის მიდამოება, კლიმატური პირობებას მხრივ საუკეთესო ადგილს წარმოადგენენ მელიების მეურნეობის განვითარებისათვის. მელიებისათვის საჭიროა ხანგრძლივი ყინვიანი ზამთარი თოვლის დიდი ფენით, რადგან ეს ხელს უწყობს მათი ბეწვისა და თვითიკის მომწიფებას.

რადგან მზის სხივები ცუდ გავლენას ახდენს მელიების ბეწვეულზე, მეურნეობამ ტყეში გააშენა ფარეხები, სადაც სეტყვიშრეს დამდგეს, ე. ი. დასაკლავ პერიოდამდე უშვებენ ხოლმე ტყავ, ბეწვ და თვითიკ მომწიფებულ მელიებს.

ბაკურიანას საბჭოთა მეურნეობის შავი ვერცხლნარევი ფერის მელიები საუკეთესო ხარისხის ბეწვეულს იძლევიან. მომდინარე წელს გათვალისწინებულია მელიების სულადობის 150-ით გადიდება.

ბრ. ლომიძე

ეროვნული ეკონომიკა

საპორტიო ფინანსები

მეთხილამურეთა შეჯიბრება

19 თებერვალს ბაკურიანში დამთავრდა სრულიად საქართველოს მეთხილამურეთა შეჯიბრება. პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა ბორჯომის გუნდმა და მესამე — აჭარის გუნდმა. შემდეგ მიდიან სამხრეთ-ოსეთის, ზოგდანოვკის რაიონის, ზემოსვანეთისა და ახალციხის რაიონის გუნდები.

მარტის დამდეგს სვერდლოვსკში შესდგება მეთხილამურეთა შეჯიბრება სსრ კავშირის პარველობაზე.

საქართველოდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს მეთხილამურეთა ნაკრები გუნდი, რომელშიც შეივლენ თბილისელები: კოსმაჩევსკი, ნიკიფოროვი, ფანჯიკიძე, გელაშვილი, მესხიშვილი, ზუბრგაშვილი და ბორჯომელი კუზნეცოვი. ქალთა გუნდში შედიან: გუგულა მიქაბერიძე, მიხინა, კოჩეტკოვა და ბათუმიდან ეგოროვა.

ω

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 17 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აწყობს სათხილამურო გადასვლას თბილისი—ბაკურიანის მარშრუტით.

გადასვლაში მონაწილეობას იღებს 11 კაცი, მათ შორის ორი ქალია და ერთი პროფესორი. გადასვლის მონაწილენი 21 თებერვალს გაემგზავრნენ თბილისიდან.

შემთხვევები

— **გამფლანგველის დაპატიმრება.** მილიციის მე-5 განყოფილებამ დაუპატიმრა ა. ი. სირაძე, რომელსაც დაეძებდა მილიცია და პროკურატურა სახელმწიფო ფულის გაფლანგვისთვის.

სირაძე 1936 წელს მუშაობდა თბილმრეწვეგაშრომაში, სადაც გაფლანგა 28.000 მანეთი და მიიმალა.

— **ჯიბგრეხი.** მილიციის მე-5 განყოფილებამ დაუპატიმრა გ. ვ. ლოსაბერიძე (შაუმიანის ქ. № 76), რომელიც სისტემატურად ეწეოდა ჯიბგრეხობას ტრამვაის ვაგონებზე.

ლოსაბერიძის საქმე გაირჩია სახალხო სასამართლომ და მიუსაჯა მას წელიწადნახევრით პატიმრობა.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. გ. დ. ზარიძეს, რ. ხ. ხარატეოროვს, ს. ბ. აკოფოვს და ა. ხ. ბერძენიშვილს, რომ 22 თებერვალს, დილ. 10 საათზე, გამოცხადდნენ რაიკომის საინფორმაციო განყოფილებაში ამხ. ნ. გარიშვილთან.

ω

22 თებერვალს, სალამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მორიგი მეცადინეობა. მეცადინეობის თემა—ამხანაგ სტალინის პასუხი ამხ. ივანოვის წერილზე.

აგიტატორების დასწრება სავალდებულოა.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი

კ. შეროზია.

თბილისის ზ. კ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

23/II	მუდმ. ადგ. ტალონი № 113 პრემიერა ჯამბაზები და საბალეტო დივერტისმენტი
24/II	ერთდრ. ტალ. № 3 დღისით ქეთო და კოტე დასაწყისი 12 საათზე
24/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 114 საღამოს ევგენი ონეგინი

დასაწყისი საღ. 8 საათზე

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი

22/II	წარმოდგენა 106 ნაპერწკლიდან
23/II	წარმოდგენა 107 გმირთა თაობა
24/II	წარმოდგენა 108 გმირთა თაობა

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

ბარჯანიშვილის სახელობის თეატრი

22/II წარმ. № 102	ფიგარეს ქორწინება
23/II წარმ. № 109	სამანიშვილის დედინაცვალი
24/II	დილის წარმოდგენა ფიგარეს ქორწინება დასაწყისი 12 საათზე.

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

სასტირაქი. ტელ. 3-11-44

დღეს, 22 თებერვალს
წარმოდგენა ვრცელი
პროგრამით.

ინგერმედია ჯროლოგი
ფითელი არმიისა და ფლოტის XX წლისთავისადმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 17 წლისთავისადმი მიძღვნილი საცირკო წარმოდგენისა. მონაწილეობენ ესტრადის, დრამისა და ცირკის არტისტები. **ცირკის ფითელი დასის პარადი.**

დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

24 თებერვალს ორი წარმოდგენა დღისით. დასაწყ. პირველისა—12 ს. და მეორისა—2 ს.

ა. დ. ჭელენგი

მინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭიაწლავების სნეულებათა გამოკვლევა მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.

მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

ესტრადის თეატრი

პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29

22—23—24 თებერვალს ტალონები № 52, 53, 54

უკანასკნელი დღეები
მოსკოვის ესტრადის საღამოები
განახლებული პროგრამით

კონფერანსიე კონსტანტინე ედუარდის-ძე **გიბშმანი**
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყ საღ. 8 ს. 30 წ.

24 თებერვალს **საბავშვო დილა.** საბავშვო ამონიმ. ძალაშია. 17688

დღეს სახალხო თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	დიდი ხმოვანი მატარებელი ფილმი **ვოლოჩაევკის დღეები** ავტორები - რეჟისორები — ძმები **ვასილიევები** სეანსები კინო თეატრებში დაკვრელსა და სპორტაკში 6-30, 8 30, 10 30. ოქტომბერში—5, 7, 9, 11.
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	რ. ლუქსემბ. სახ.—7, 9. 11. ბილეთების წინასწარი გა იდვა დღის 12 საათიდან.
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ № 91	1) ხმ. დოკუმენტალ ფილმი **სერგო ორჯონიკიძე** 2) ხმოვ. ფილმი **მე-4 მსაჯლრონი** დასაწყ. 6 15
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვ. ფილმი **ბალტიელები** დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვ. ფილმი **ცამეტნი**
ახალი ამბები	ხმოვ. ჟურნალი № 4, 5 ხმოვ. სასწავლო ფილმი **ბიანგველა ამაზონი**

თბილისის სახ. უნივერსიტეტში 1938 წ. 17/3 საღ. 8 საათზე, აუდ. № 86-ში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თინათინ გოგნიაშვილი დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„დიალექტიზმები ჰადიშის ძეგლში“

ოპონენტი—პროფ. ა. ჩიქობავა.

30 **თ. ხ. უ. სასწ. ნაწ. პროფექტორი ხაბაკურიძე.**

მისამართი: რედაქციისა — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: საქმიანი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—43. მშრომელთა წერილების — 3—73—24. ბ.-მზ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გამომცემლობა ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტს რწმუნებული 256

ოთარ ეგაძე

პუშკინის ნამყოფ ადგილებში

ცარსკოე სელო

აი ესეც ქალაქი პუშკინი, შარშანდელი დეტსკოე სელო, ოცდაერთი წლის წინათ კი რუსეთის იმპერატორთა საზაფხულო რეზიდენცია, რომანოვების ვერსალი—ცარსკოე სელო.

ბეგრის მომსწრეა დიდებული პარკებითა და ხეივნებით გახთქმული პატარა ქალაქი. გენიალური რასტრელის ქმნილება, ბაროკოს სტილით ნაგები „ეკატერინესეული სასახლეც“ მრავალ რამის მთქმელია.

აქ, მეფეთა ყოფილი რეზიდენციის გვერდით ცარსკოე სელოს ლიცეუმის კორპუსი დგას. მის კედლებს შორის 6 წელი დაჰყო პუშკინმა. 1811 წლის შემოდგომაზე მოიყვანეს პუშკინი აქ. 1818 წლის ზამთარში დასტოცა მან ლიცეუმი.

მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, მაგრამ პუშკინისეული ადგილები როდი დამალა: პოეტის სახელმა მათთან მისასვლელი ბილიკები გაჰკაფა და ჭინჭრისაგან გასწმინდა.

აგერ თუნდაც პოეზიით აღსავსე „გედების ტბა“, რომლის მოლაპლაპე სახეს დიდხნოვანი ხეები ჩასჩერებიან, თითქოს ზღაპრულ სარკეში დარბაისლურად თავს იწონებენო... რამდენჯერ დადაუცურავს პუშკინს ეს იდილიით აღსავსე ადგილები, რამდენჯერ შემოუტრენია მისი ზურმუხტი ნაპირები...

კეკლუცად გამოიყურება თეთრ სვეტებზე შემდგარი, მედიდურობით აღსავსე, რომაული სტილის „კამერონის ვერანდა“... მის გრძელ აივანს ხომ ანტიკური ქვეყნის სულკულტურის საუკეთესო ნიმუშები შეხიზვნიან!... აქაც ბევრჯერ ყოფილა პუშკინი და ლექსის ბევრი მგზნებარე სტრიქონი უძღვნია მისთვის.

განა შეიძლება „კონფერენც-დარბაზში“ იდგეთ და რეპინის ყალმით ნახატი სურათი არ წარმოგიდგეთ? აქ, 1815 წლის 8 იანვრის დილას წაიკითხა პუშკინმა „მოგონება ლიცეუმზე“. ამ დარბაზში, იყო რომ მოხუცმა დერჟავინმა „ძლევს ღირსეული მემკვიდრე ჰპოვა“.

გამოუცნობი გრძნობით ვუახლოვდებით ლიცეუმის შენობის ერთ ფანჯარას. აქედან ხშირად გასცქეროდა პუშკინი პეტერბურგის ნისლიან ცას, რომლის ფერმკრთალ ჰორიზონტზე ქმუნვით აღსავსე მოგალი პოეტის სილუეტი სულ უფრო გარკვევით იხატებოდა.

ჩორნაია რეჩკა

ლენინგრადი უკან მივიტოვეთ, გზა ნოვაია დერევნიასკენ მიიკლაკნება. თოვლში გაჭრილი ბილიკი ჩორნაია რეჩკას დაბალ ნაპირს მისდევს. ბილიკის ორსავე მხარეს